186
1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1991 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1991 წ.

170. დარგობრივი და დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების შესახებ.

171. „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 31 ივლისის № 610 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

172. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსათვის რესპუბლიკიდან წამსვლელი ოჯახებისაგან საცხოვრებელი სახლების (ბინების) შეძენისა და განაწილების შესახებ.

173. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ.

174. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

175. საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციების, დებულებისა და სტრუქტურის შესახებ.

176. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

177. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შავი ზღვის აუზის ეკოლოგიურ პრობლემათა საერთაშორისო სპეციალიზებული ორგანიზაციის ფორმირების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

178. „საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს ძირითადი ფუნქციებისა და დებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 7 აგვისტოს № 615 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

179. საქართველოს ტერიტორიაზე „ზამთრის დროის“ შემოღების შესახებ.

180. საქართველოს რესპუბლიკის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დებულების შესახებ.

181. ქალაქ თბილისში გერმანიისა ფირმა „ნელოპის“ წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.

182. საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების ამოღების დებულების დამტკიცების შესახებ.

183. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ.

184. „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

185. საქართველოს რესპუბლიკაში მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რესპუბლიკური კომისიის შესახებ.

186. შრომისუუნარო პირთა მომვლელი შრომისუნარიანი უმუშევარი მოქალაქეებისათვის საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით კომპენსაციის გაცემის შესახებ.

187. ქალაქ ბოლნისის № 114 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შექმნის შესახებ.

188. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან საინოვაციო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ.

189. თბილისის საგვირაბო მშენებლობის სამმართველო „თბილგვირაბმშენის“ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის ფირმა „თბილმეტრომშენად“ გარდაქმნის შესახებ.

190. წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივებში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ.

191. „დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

170 დარგობრივი და დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების შესახებ

დარგობრივი და დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალური ფონდების წარმოქმნისა და გამოყენების წესი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 5 სექტემბერი, № 716.

19851

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 5 სექტემბრის
№ 716 დადგენილებით

წ ე ს ი

მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალური ფონდების წარმოქმნისა და გამოყენებისა

1. მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალური ფონდები (შემდგომში „ფონდი") იქმნება სამინისტროებში, დეპარტამენტებში, უწყებებსა და კონცერნებში დარგობრივი და დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ახალ სახეობათა ათვისების ღონისძიებათა დასაფინანსებლად, მათი წარმოქმნის წყაროა დანახარჯები, რომლებიც რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების და კონცერნების დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების, გაერთიანებების და ორგანიზაციების მიერ გამოშვებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში ამ თვითღირებულების პროცენტულად დადგენილი ოდენობისა და ფაქტიურად წარმოებული პროდუქციის სრული თვითღირებულების მიხედვით არის გათვალისწინებული.

2. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში სამრეწველო საწარმოთა მიერ ფონდების ანარიცხები აისახება მუხლში — „სხვა სამრეწველო ხარჯები", ხოლო სხვა საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ — მუხლში „სხვა ხარჯები", ან სხვა ანალოგიურ მუხლებში. ელემენტურ ჭრილში მითითებული ანარიცხები აისახება ელემენტის „სხვა ხარჯების" მიხედვით.

3. ფონდის სახსრების ფორმირება ხდება საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ყოველთვიური გადარიცხვების ხარჯზე და ისინი აისახება წარმოებაზე გაწეული ხარჯების აღრიცხვის საბუღალტრო ანგარიშების დებეტში და 78-ე ანგარიშის კრედიტში — „მიმდინარე ოპერაციებზე შიგასაუწყებო ანგარიშები". სახსრების ფაქტიური გადარიცხვა ფონდში აღირიცხება 78-ე ანგარიშის დებეტში და 51-ე ანგარიშის — „ანგარიშსწორების ანგარიში" კრედიტში.

სახსრების ფონდში გადარიცხვა ხდება საანგარიშო თვის შემდგომი მომდევნო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა.

4. ფონდის სახსრების აკუმულირების მიზნით ბანკების დაწესებულებებში იხსნება ცალკე სპეციალური ანგარიში. მისი გახსნა ხდება საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

სამინისტროები, დეპარტამენტები, უწყებები და კონცერნები, რომლებსაც ფონდები გააჩნიათ, ამ ფონდების მოძრაობის შესახებ ინფორმაციას ყოველკვარტალურად წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკის სამინისტროს, რომელიც თავის მხრივ ყოველწლიურ ანგარიშს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

5. ფონდის სახსრების გამოყენება ხდება მიზნობრივად სახალხო-სამეურნეო და დარგობრივი მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების და ახალი პროდუქციის ათვისებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

6. აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო სამინისტროთა, დეპარტამენტთა, უწყებათა და კონცერნთა წარდგინებით საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს ფიქსირებულ საბითუმო ფასებზე უწესებს დანამატებს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში დარგობრივი და დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ახალ სახეობათა ათვისების ღონისძიებათა დასაფინანსებელი დანახარჯების ჩართვის გამო ამ თვითღირებულების გადიდების კომპენსაციის მიზნით.

7. მიზნობრივი დანიშნულების სპეციალური ფონდების წარმოსაქმნელად სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებებისა და კონცერნებისათვის საწარმოების მიერ გადაურიცხავ სახსრებს საგადასახადო ორგანოები ამ საწარმოების წლიური საბუღალტრო ანგარიშგების შემოწმებისას შეიტანენ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში მე-12 კარის 55-ე პარაგრაფში „მიზნობრივი დანიშნულების სპეციალურ ფონდებში გადაურიცხავი სახსრები“.

8. განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო და დარგთაშორისი მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალურ რესპუბლიკურ ფონდში სახსრების აკუმულირების მიზნით იგი ბანკში ხსნის სპეციალურ ანგარიშს, რომელზეც რესპუბლიკის სამინისტროები, დეპარტამენტები, უწყებები და კონცერნები ჩაურიცხავენ მას ყოველი კვარტალის უშუალოდ მომდევნო თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისა წინა საანგარიშო კვარტალში მათ მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალურ ფონდებში შემოსულობების 3%-ს.

მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალური რესპუბლიკური ფონდის სახსრები, რომლებიც უნდა მოხმარდეს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადასაჭრელად, პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და მასალების შესაქმნელად სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და პროდუქციის (სამუშაოების მომსახურების) ახალ სახეობათა ათვისების ღონისძიებათა დაფინანსებას, სამეცნიერო დაწესებულებებს შორის ნაწილდება საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომელიც ყოველწლიურ ანგარიშს ამ ფონდის მოძრაობისა და გამოყენების ეფექტიანობის შესახებ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

171 „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 31 ივლისის № 610 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 31 ივლისის № 610 დადგენილების მე-7 მუხლის მე-4 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

— რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) პრეფექტურებში, ნაცვლად არსებული აგროსამრეწველო გაერთიანებებისა, აგროსამრეწველო სფეროს სხვა რაიონული (საქალაქო) მასშტაბის ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი ფუნქციის მქონე ფორმირებებისა, არსებული წესით შეიქმნას სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსა და პრეფექტურის ორმაგი დაქვემდებარების სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამსახურები (განყოფილება ან სამმართველო) იურიდიული პირის უფლებით. დაწესდეს, რომ აღნიშნული სამსახურების ხელმძღვანელები არიან პრეფექტების მოადგილეები და ინიშნებიან სამინისტროსთან შეთანხმებით.

აღნიშნული სამსახურის საშტატო განრიგს და დებულებას საქმიანობის წესის შესახებ ამტკიცებს პრეფექტი სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებში აღნიშნული სამსახურების შესანახი ხარჯები 1991 წელს გაღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 7 სექტემბერი, № 721

ეროვნული ბიბლიოთეკა

172 საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსათვის რესპუბლიკიდან წამსვლელი ოჯახებისაგან საცხოვრებელი სახლების (ბინების) შეძენისა და განაწილების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მთლიანად გადაეცა რესპუბლიკის სტიქიისაგან დაზარალებული რაიონებიდან, აგრეთვე იმიგრაციის შედეგად ჩამოსახლებული მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის, ასევე ლტოლვილების, მრავალშვილიანი, ხელმოკლე და ახალგაზრდა ოჯახების სოციალური დაცვის ფუნქციები, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებულმა სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მოახდინოს საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველი ოჯახების მფლობელობაში არსებული სახლების (ბინების) შეფასება-შესყიდვა

საქართველოს რესპუბლიკის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებთან შეთანხმებით მოახდინოს რესპუბლიკიდან ემიგრირებული ოჯახების კერძო საკუთრებაში არსებული და ამჟამად მიტოვებული სახლების (ბინების) აღრიცხვა-შეფასება.

2. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს განკარგულებაში გადაეცეს ამ დადგენილების მიღებამდე რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი და სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების საქველმოქმედო სახსრებით შესყიდული და განაწილების გარეშე დარჩენილი ან აშენებული ყველა საცხოვრებელი სახლი (ბინა). დაევალოს სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიან სახელმწიფო ფონდს მიიღოს სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყვეტილება იმ სახლების აშენების მიზანშეწონილობის შესახებ, რომელთა მშენებლობა დაწყებულია და ამჟამად შეჩერებულია.

3. ამ დადგენილების 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული სახლების (ბინების) ბაზაზე შეიქმნას საგანგებო საცხოვრებელი ფონდი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინიტრომ გამოიყენოს რესპუბლიკის სტიქიისაგან დაზარალებული რაიონებიდან, აგრეთვე რესპუბლიკაში ჩამოსახლებული და მრავალშვილიანი ოჯახების ბინებით დასაკმაყოფილებლად.

ბინების განაწილებისას ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ შეადგინოს დაზარალებული რაიონებიდან, აგრეთვე რესპუბლიკაში ჩამოსახლებული და მრავალშვილიანი ოჯახების რეგისტრი და სისტემატურად შეიტანოს მასში მიმდინარე ცვლილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ 1991 წლის ბოლომდე მოახდინოს სტიქიისაგან დაზარალებული ოჯახებისათვის შესყიდულ და აშენებულ ბინებში მცხოვრები ოჯახების რეგისტრი და იზრუნოს, რათა სამინისტროს ნებართვის გარეშე არ მოხდეს აღნიშნული ბინების გასხვისება.

5. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის, სესხებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარე, ნოტარიული წესით დამოწმებისას, განთავისუფლდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

6. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა, დეპარტამენტებმა, უწყებებმა, პრეფექტურებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინონ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს დახმარება ამ დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 17 სექტემბერი, № 727

ეროვნული ბიბლიოთეკა

173 საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 16 აგვისტოს ბრძანებულების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეწევიან მეწარმეობას, საკუთრების ფორმის მიუხედავად, ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ აწარმოებენ ლიცენზიის დადგენილი ერთიანი ფორმით.

2. დამტკიცდეს და 1991 წლის 16 სექტემბრიდან შემოღებულ იქნეს რესპუბლიკაში სამოქმედოდ დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის ლიცენზიის გაცემის წესის შესახებ №№1, 2 და 3 დანართების თანახმად.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა მიმდინარე წლის 18 სექტემბრამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს ლიცენზიის ფორმა და ინსტრუქცია.

4. საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის 23 სექტემბრამდე უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის ლიცენზიის ბლანკების დამზადება საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს შეკვეთით, რისთვისაც ამ უკანასკნელმა გამოუყოს შესაბამისი რაოდენობის ქაღალდი.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს თანხის გამოყოფა ამ სამუშაოს შესასრულებლად.

5. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგირეთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გასატანად ლიცენზიებს გასცემენ:

— შესაბამისი სამინისტროები — საკუთარი წარმოების პროდუქციისა;

— საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო — როგორც საკუთარი წარმოების, ისე მოსახლეობის მიერ არასახელმწიფოებრივ სფეროში წარმოებულ სასურსათო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციისა;

— საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო — მედიკამენტებისა და სამკურნალო მცენარეებისა;

— ცეკავშირი — სისტემის ორგანიზაციების მიერ წარმოებული სასურსათო და სამრეწველო საქონლის, აგრეთვე მოსახლეობისაგან შეთანხმებულ ფასებში შესყიდულ ნამეტ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრო (საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე) და საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო (სახალხო მოხმარების საქონელზე) — კოოპერატივებისა და სხვა არასახელმწიფოებრივ სფეროში წარმოებული პროდუქციისა;

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი — რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეძენილი ნედლეულის პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საგნების რეექსპორტისა;

— საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ბ. კალანდია) და სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველომ (რ. გოგლიძე) შეიმუშაონ შესაბამისი წესები და ფორმები და ერთი კვირის ვადაში წარუდგინონ სამთავრობო კომისიას;

— აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურები — დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე წარმოებული ჭარბი პროდუქციისა (ლიცენზია ძალაშია სახელმწიფო შეკვეთის შესრულების შესახებ შესაბამისი სამინისტროს მიერ გაცემულ ცნობასთან ერთად).

15-დან 23 სექტემბრამდე № 1 დანართში შეტანილი პროდუქციის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის ნებართვა გაიცემა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ (პუნქტი 4) წერილობით.

6. მოქალაქეებს შეუძლიათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანონ (გარდა პირადი მოხმარების ნივთებისა), შემდეგი სახის, რაოდენობისა და ღირებულების სასურსათო და სახალხო მოხმარების საქონელი (ახალი): სასურსათო საქონელი 50 მანეთამდე ღირებულების; ალკოჰოლიანი სასმელი — 5 ლიტრი; სახალხო მოხმარების სხვა საქონელი — 200 მანეთამდე. ღირებულებისა, მედიკამენტები — თითოეული სახის არა უმეტეს ორი შეფუთვისა.

7. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, კერძო მფლობელებმა არ დაუშვან სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენება ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის (დანართი № 1) რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანად ლიცენზიის გარეშე.

ამ წესის დარღვევის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებათა მომსახურების საფასური ამოღებული იქნება რესპუბლიკის ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დაისვას საკითხი ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქის სარდლობის, სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების მეთაურების წინაშე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აუკრძალონ დაქვემდებარებულ სატრანსპორტო ქვეგანყოფილებებს ამ მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფა ლიცენზიის გარეშე.

8. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ აუკრძალონ დაქვემდებარებულ საწარმოებს მიიღონ მოქალაქეთაგან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაზიდი ან გასაგზავნი სასურსათო და სამრეწველო საქონელი დადგენილების მე-6 პუნქტში ნაჩვენები ნორმის ზევით, გარდა იმ პირთაგან, რომლებიც ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადადიან.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი საბარგო და საფოსტო გზავნილებანი (ბანდეროლები, ამანათები) მოქალაქეებისაგან მიიღება მხოლოდ გახსნილი სახით.

9. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოსთან ერთად ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს წინადადება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საჰაერო და საზღვაო პორტებში, ავტოსადგურებში, რკინიგზის სადგურებსა და რესპუბლიკის საზღვრების გასავლელ ადგილებში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანისადმი კონტროლის ორგანიზაციის შესახებ.

10. შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბებამდე, დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს ამ დადგენილებით გათვალისწინებული პროდუქციის გატანის წესის დასაცავად მოქალაქეთა დოკუმენტები და ტვირთი შეამოწმონ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

11. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამმართველომ უზრუნველყონ დადგენილი წესის დაცვით ლიცენზირებული პროდუქციის შეუფერხებელი გატარება, არ დაუშვან კანონით გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები და წინააღმდეგობანი.

12. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს (მოწვევა), საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მოამზადონ და ერთი კვირის ვადაში სამთავრობო კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინონ ინსტრუქცია ამ დადგენილების (დანართებით) შესრულების კონტროლის უზრუნველსაყოფად.

13. დაწესდეს, რომ თბილისის, ფოთისა და ბათუმის საბაჟოების მიერ დადგენილი წესით შემოწმებული და დალუქული საგარეო ექსპორტის ტვირთი და საზღვარგარეთ საცხოვრებლად მიმავალ მოქალაქეთა ბარგი განმეორებით შემოწმებასა და კონტროლს არ ექვემდებარება.

14. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებს უზრუნველყონ მოსახლეობის ინფორმირება და ჩაატარონ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ამ დადგენილებით შემოღებული წესების თაობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

15. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს (მოწვევა), საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან, დეპარტამენტთან და უწყებებთან ერთად მოამზადოს პროექტი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი პროდუქციის კვოტირებისა და ლიცენზირების შესახებ და მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 16 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად შექმნილ სამთავრობო კომისიას.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **გ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 18 სექტემბერი, № 728

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის
№ 728 დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გასატანად ლიცენზიის გაცემის წესის შესახებ

1. ეს დებულება შემუშავებულია „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 16 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად და განსაზღვრავს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი პროდუქციის ლიცენზიების გაცემის წესს.

2. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პროდუქციის გატანის უფლება აქვს ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას საკუთრების ფორმის მიუხედავად.

3. დადგენილი წესის თანახმად უფლებამოსილი ორგანოები საწარმოების ხელმძღვანელთა სახელზე გასცემენ პროდუქციის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის ლიცენზიას არსებული ნიმუშის მიხედვით.

ლიცენზია არის საბუთი, რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პროდუქციის გატანის უფლებას იძლევა.

4. ლიცენზიის მიღების საფუძველია დაინტერესებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შუამდგომლობა, აგრეთვე მეწარმეთა განცხადება, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და სამეურნეო საქმიანობისა.

ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილებას იღებენ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

განმცხადებელს ლიცენზიის გაცემაზე უარი ეცნობება წერილობით.

ლიცენზიის მოქმედების ვადაა მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

ლიცენზიის გაცემისას იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის დაწესებულია გადასახადი — გასატანი პროდუქციის საერთო ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს იმ ორგანოს ანგარიშზე, რომელმაც გასცა ლიცენზია.

გადასახადისაგან თავისუფლდებიან საწარმოები (გაერთიანებები) და ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას აწვდიან სახელმწიფო შეკვეთისა და სამთავრობო ხელშეკრულებათა საფუძველზე, შესაბამის მოცულობათა ფარგლებში.

გაცემული ლიცენზიები ექვემდებარება მკაცრ აღრიცხვას. იგი ფორმდება ოთხ ეგზემპლარად. ლიცენზიის პირველი ეგზემპლარი ბარდება საკონტროლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნქტს, მეორე მიეცემა საწარმოს (გაერთიანებას), ორგანიზაციას ან მეწარმეს, მესამე ინახება ლიცენზიის გამცემ ორგანოში, ხოლო მეოთხე ეგზემპლარი — სატრანსპორტო საწარმოში.

5. ლიცენზიის გამცემი ორგანოები ვალდებული არიან სახელმწიფო შეკვეთითა და სამთავრობო ხელშეკრულებით მისაწოდებელ პროდუქციაზე ოპერატიულად, მოთხოვნის შემთხვევაში კი წინასწარ, გასცენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შესაბამის მოცულობათა ფარგლებში პროდუქციის გასატანი ლიცენზიები, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში (პირდაპირი კავშირები, ბარტერული გაცვლები და ა. შ.) ლიცენზიის გამცემსა და ლიცენზიის მიმღებს შორის იდება ხელშეკრულება და მასში აისახება გასატანი პროდუქციის რაოდენობა და ღირებულება ამ პროდუქციის სანაცვლოდ შემოსატანი პროდუქციის (ან ნაღდი ფულის) ოდენობა, ღირებულება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, საგარანტიო თანხის რაოდენობა ან საჯარიმო სანქციები, რომლებსაც ლიცენზიის მიმღები ამ ხელშეკრულების დარღვევისათვის გადაუხდის სახელმწიფო ბიუჯეტს.

6. საკონტროლო პუნქტები მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების ფარგლებში, აეროპორტებში, საზღვაო პორტებში, რკინიგზასა და ავტომაგისტრალებზე.

იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს, რომლებმაც საქონლის გასატანად მიიღეს ლიცენზია უფლება არა აქვთ გადასცენ იგი სხვას.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის გატანის დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან, ასეთი დარღვევისათვის ჩამოერთმევათ სასურსათო და სამრეწველო საქონელი და გაიყიდება ადგილობრივ სავაჭრო ქსელში (კომერციული ფასებით), საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონელი კი გადაეცემა მატერიალური რესურსების სამინისტროს შემდგომი რეალიზაციისათვის (კომერციული ფასებით), ხოლო მათი ღირებულება წესის დამრღვევებს აუნაზღაურდებათ სახელმწიფო საცალო ფასებით. ამასთან, სავაჭრო საწარმოს ხარჯები დაიფარება კომერციულ და საცალო ფასებს შორის მიღებული სხვაობიდან, დადგენილი წესის შესაბამისად.

7. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის (დანართი № 1) ულიცენზიოდ გაყიდვის შემთხვევაში რესპუბლიკის შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოები გასცემენ განკარგულებას (დანართი № 2) ამონაგები თანხის ამოღების შესახებ რესპუბლიკის ბიუჯეტის სასარგებლოდ.

8. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ნედლეულის, სასურსათო დ სამრეწველო საქონლის ულიცენზიოდ გასატანად სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფის შემთხვევაში, მის მფლობელს ჩამოერთმევა გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული ამონაგები რესპუბლიკის ბიუჯეტის სასარგებლოდ (დანართი № 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ლიცენზიის გარეშე გადატვირთულ საქონელზე ამონაგების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, აღნიშნული თანხა იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშებიდან ჩამოიწერება შესაბამისი საურავის დარიცხვით.

10. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იურიდიული და ფიზიკური პირისათვის გაცემული ლიცენზიის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, მიყენებული ზარალი ანაზღაურდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

11. ამ დებულების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

———————

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 3 სექტემბრის
№ 22 საოქმო გადაწყვეტილებით

ნუსხა

პროდუქციისა, რომლის გატანა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იკრძალება 1991 წლის 5 სექტემბრიდან 1992 წლის იანვრამდე

რძე და რძის ნაწარმი
ცოცხალი პირუტყვი და ფრინველი, ხორცი და ხორცის ნაწარმი
აბრეშუმის პარკი
მატყლი
ბოსტნეულის კონსერვი
კარტოფილი
ხახვი
მარცვლეული, ბურღული და ბრინჯი
კალცინირებული სოდა
ფქვილი
მაკარონის ნაწარმი
მცენარეული ზეთი
შაქარი
თევზი და თევზის პროდუქტები
ცემენტი
ყველა სახის აგური
კრამიტი
წვრილი საკედლე ბლოკი
კირი
თაბაშირი
ხე-ტყე (მორები, ხის სხვადასხვა მასალა, დაწნეხილი ფილები, პარკეტი)
ბაზალტის, მარმარილოსა და ტუფის ბლოკები
ტყავნედლეული
ნავთობპროდუქტები

შენიშვნა: გარდა შემკვეთის (რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მყოფი) ნედლეულითა და მასალით დამზადებული პროდუქციისა, რომლის გატანაზეც ლიცენზიას გასცემს საქართველოს რეპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 დადგენილების დანართი № 1

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნუსხა, რომლის გატანაც დროებით შეიძლება მხოლოდ ლიცენზიით

ალკოჰოლიანი სასმელები
ხილის წვენები
ხილის კომპოტები
ჩაი
მინერალური წყლები
უალკოჰოლო სასმელები
საკონდიტრო ნაწარმი
თამბაქოს ნედლეული
თამბაქოს ნაწარმი
ციტრუსები
ყურძენი
ვაშლი
ხილის კონცენტრატები
ნაყენები (სპირტიანი და სხვა)
ბავშვთა კვების პროდუქტები
სოიო
მზესუმზირა
ბოსტნეული
ბახჩეული
მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, ფუტკრის შხამი და სხვა)
ბამბუკის შოლტები
ეთერზეთოვანი პროდუქცია
სამკურნალო მცენარეები
მედიკამენტები
სინთეზური ნაწარმი
სარეცხი საშუალებები
კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილები
მეტლახის ფილები
ლინოლიუმი
ბაზალტის, მარმარილოს, გრანიტის, ტუფის, ეკლარის და ნიჟაროვანი ფილები
გაფუებული პერლიტი
ბაზალტის სუპერწმინდა ბოჭკო
ბითუმიზირებული ქაღალდი
რბილი სახურავი (რუბეროიდი, პერგამინი)

19851

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლასტმასის ნაწარმი
პლასტმასის მილები
კერამიკული ნაწარმი
ხარისხოვანი ჭურჭელი
ლითონის ჭურჭელი
ბაზალტის მინის ფილები
დეკორატიული ღორღი
კერნი
ლითოგრაფიული ქვა
დიატომიტი
ტექნიკური აქატი
ტექნიკური ნაწარმი პოლიეფირული ბეტონისაგან
მარგანეცის მადანი
სპილენძი
კვარციტები
დარიშხანი
თუთია
ტყვია
მარმარილო, გრანიტი, ბაზალტი და სხვა
ქვანახშირი
მინერალური სასუქები
კოშკური ამწეები
ავეჯი
საყოფაცხოვრებო სამზარეულო მოწყობილობანი
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ნაწარმი
ნართი და ძაფები
სათამაშოები
ტელევიზორები
პიანინო
საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქცია
ლოგინის და სუფრის თეთრეული
სასკოლო-საკანცელარიო საქონელი
სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მცირე მექანიზაციის საშუალებანი
რკინა-ბეტონის კონსტრუქციები
ლითონის ნაირსახეობა (ლურსმანი, ფურცლოვანი ფოლადი, ფოლადის სახურავი)
აზბესტოშიფერი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის
№ 728 დადგენილების დანართი № 2

_____

(ორგანიზაციის სახელწოდება, რომელმაც გასცა განკარგულება)

_____

(სახელწოდება საწარმოსი (ორგანიზაციის), რომელმაც დაარღვია წესი)

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საჯარიმო თანხის ამოღების შესახებ

„——“ ———————————— 1991 წ. №

საფუძველი ————————————————————

შემოწმების აქტით

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ლიცენზიის გარეშე გაყიდული სახალხო მოხმარების სასურსათო და არასასურსათო საქონელი, რომლის საერთო ღირებულებაა

———————————————————— მან.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის სექტემბრის № ———— დადგენილების შესაბამისად (სახელწოდება ქალაქის, რაიონის) მაკონტროლებელი ორგანო უზრუნველყოფს აღნიშნული ამონაგები თანხა ჩაირიცხოს რესპუბლიკის ბიუჯეტში.

ხელმოწერა ————————————————

თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი პირისა,
რომელმაც გასცა განკარგულება

ბეჭედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის
№ 728 დადგენილების დანართი № 3

_____

(ორგანიზაციის დასახელება, ვინც გასცა განკარგულება)

_____

(წარმოება (ორგანიზაცია) დასახელება, რომელმაც დაუშვა დარღვევა)

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საჯარიმო თანხის ამოღების შესახებ

„——“ ——————————— 1991 წ. №

საფუძველი ——————————————————

შემოწმების აქტით

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ლიცენზიის გარეშე პროდუქციის გასატანად სატრანსპორტო საშუალების გამოყოფის შემთხვევაში სატრანსპორტო მომსახურების ღირებულება ——————————— მან.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის სექტემბრის № ——————— დადგენილების შესაბამისად მაკონტროლებელი ორგანო უზრუნველყოფს აღნიშნული ამონაგები თანხის ჩარიცხვას რესპუბლიკის ბიუჯეტში.

———————

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიპური ფორმა ლ-1
საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს
საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკო-
ნომიკური ინფორმაციის კომიტეტის —
——№ ———— ბრძანებით

სამინისტრო, ორგანიზაცია განმცხადებელი ————————

————————————————————————————————

მისამართი

რესპუბლიკა, რომელსაც მიეყიდება საქონელი ————————

————————————————————————————————

მისამართი მყიდველის

ლ ი ც ე ნ ზ ი ა

1. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატან პროდუქციაზე

№№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ღირებულება
	1	2	3	4

ლიცენზია № ————

ლიცენზიის მოქმედების დრო ————

ლიცენზიის გაცემის საფუძველი ————————————

————————————————————————————————

ლიცენზიის გამცემი სამინისტროს დასახელება ————————

„——“ ———— 19 წ. ———— ————

თანამდებობა ხელმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქონლის გავლის აღნიშვნის საკონტროლო ორგანო

№№	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	საკონტროლო პუნქტში გასვლის თარიღი	ღირებულება (ათასი მანეთი)
	1	2	3	4	5

„——“ ——— 19—— წ.

ანამდებობა ——— ხელმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

174 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში მძიმე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 დადგენილების მე-5 პუნქტის ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე № 1 დანართში შეტანილი პროდუქციის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის ნებართვა გაიცეს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ (5.4) წერილობით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **გ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 24 სექტემბერი, № 734

175 საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციების, დებულებისა და სტრუქტურის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი მმართველობის ორგანოების შექმნისა და გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 28 თებერვლის კანონის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი არის ყველა სახის გეოლოგიურ, გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ სამუშაოთა სახელმწიფო მართვის ორგანო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მას ეკისრება პასუხისმგებლობა წიაღის მიმართ ერთიანი პოლიტიკის გატარების, ამ დარგებში სამუშაოთა წარმოების, სასარგებლო წიაღისეული რესურსების დაცვის და მისი სრულყოფილად ათვისების, ბიუჯეტთან ურთიერთობისა და დარგის ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის შედეგებისათვის.

2. განისაზღვროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებიც მიეკუთვნებიან დეპარტამენტის მართვის სფეროს, დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. იმის გამო, რომ კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი და გეოექსპერტიზის კავკასიის განყოფილება ემსახურებიან კავკასიის მთელ რეგიონს, მიზანშეწონილად ჩაითვალოს მათი ორმაგი დაქვემდებარება.

4. დაწესდეს, რომ დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმოს, სამეცნიერო-კვლევით და სხვა ორგანიზაციას გეოლოგიურ-საძიებო, სპეციალიზებული გეოლოგიური, გეოფიზიკური, ტოპოგეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის საკითხებში.

5. უფლება მიეცეს დეპარტამენტის დირექტორს დაამტკიცოს დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგი ხელმძღვანელ მუშაკთა, მთავარ სპეციალისტთა და სპეციალისტთა რიცხოვნობის თანაფარდობისა და მოქმედი ნორმების გაუთვალისწინებლად და მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების სქემის მიხედვით, საშუალო თანამდებობრივი სარგოების გაუთვალისწინებლად, დაწესებული რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების წლიური ფონდის ფარგლებში. ამავე ფარგლებში შეიტანოს ცვლილებანი ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში.

6. განისაზღვროს დეპარტამენტის კოლეგია 11 კაცის შემადგენლობით. დაწესდეს, რომ კოლეგიის შემადგენლობაში შედიან დირექტორი, დირექტორის მოადგილეები თანამდებობრივად და ზოგიერთ დაქვემდებარებულ და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

7. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის თანდართული დებულება და სტრუქტურა.

8. დარგის მართვის სრულყოფილი მექანიზმის აუცილებლობიდან გამომდინარე, ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტს შექმნას, გარდაქმნას ან გააუქმოს თავის გამგებლობაში არსებული საწარმოები და დაწესებულებანი.

9. განთავსდეს საქართველოს რესპულიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის“ შენობაში (მოსაშვილის ქუჩა № 24) და გადაეცეს მას ამ უკანასკნელის შესაბამისი მატერიალური ფასეულობანი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 24 სექტემბერი, № 736

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 24 სექტემბრის
№ 736 დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის მართვის სფეროს მიკუთვნებული ორგანიზაციებისა და საწარმოებისა

საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგია“
კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი
მე-7 რაიონის ჰიდროგეოლოგიური პარტია
აერო-გეოდეზიური წარმოება
თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი
თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა
სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის ტერიტორიული ინსპექცია
გეოექსპერტიზის კავკასიის განყოფილება
„ვნიპიგეოთერმის“ თბილისის კომპლექსური განყოფილება (თბილკნიპო)
საპროექტო ინსტიტუტ „სახგეოლმშენის“ კავკასიის კომპლექსური გაერთიანება

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი ა. ლანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 24 სექტემბრის
№ 736 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტისა

ზოგადი დებულებანი

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი (შემდგომში — „დეპარტამენტი") არის სახელმწიფო მართვის ორგანო, რომელიც მოწოდებულია შეიმუშაოს გეოლოგიურ, გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ სამუშაოთა პოლიტიკა, განსაზღვროს ამ დარგებში სტრატეგიული მიმართულებანი, წარმართოს და განახორციელოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე წიაღის გეგმაზომიერი შესწავლა, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ძიება, ყველა სახის გეოლოგიური, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოები, უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა, მეცნიერება და ქვეყნის თავდაცვა ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული მასალებით განახორციელოს მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა აღნიშნულ დარგებში.

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

დეპარტამენტის უფლებამოსილებანი

1. გეოლოგიის დარგში:

1.1. მინერალური ნედლეულის ბაზის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივის განსაზღვრა, მისი ტერიტორიის გეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის ანალიზი და შეფასება.

1.2. ყველა სახის სასარგებლო წიაღისეულის აღრიცხვა, ბალანსების წარმოება და მათი ტერიტორიული განლაგების სახელმწიფო აღწერა.

1.3. წიაღის შესწავლასთან დაკავშირებული ყველა სახის სამუშაოს რეგისტრაცია და ლიცენზირება, რომელსაც ასრულებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და დაფინანსების წყაროების მიუხედავად.

1.4. საბადოების პროგნოზირებისა და ძებნის მეცნიერული კონცეფციების შემუშავება, მათი კომპლექსური და რაციონალური გამოყენების მიმართულების დასაბუთება და მათ საფუძველზე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა და სპეციალიზებულ გამოკვლევათა სადღეისო და გრძელვადიანი პროგრამების შედგენა დარგებისა და მიმართულებების მიხედვით.

1.5. საკადრო პოლიტიკის წარმართვა კადრების კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის საფუძველზე. კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია სხვადასხვა მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით (ადგილზე, რესპუბლიკის ფარგლებში, უცხოეთში მივლინებით და სხვ.).

1.6. რესპუბლიკის მთავრობისათვის, ცალკეული უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის გეოლოგიის დარგში წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება.

1.7. დეპარტამენტის გამგებლობაში შემავალი ორგანიზაციების მეშვეობით სახელმწიფო დაკვეთით გათვალისწინებული გეოლოგიურ-საძიებო და სპეციალიზებულ კვლევით სამუშაოთა შესრულების უზრუნველყოფა.

1.8. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით № 1 დანართში ჩამოთვლილ საწარმოთა უზრუნველყოფის ორგანიზაცია.

1.9. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა (ახალი ტექნიკა, ტექნოლოგია, აპარატურა) დანერგვის განხორციელება გეოლოგიური, გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, დეპარტამენტის გამგებლობაში შემავალი ორგანიზაციების საშუალებით.

1.10. რესპუბლიკის ტერიტორიაზე კომპლექსური რეგიონალური, გეოლოგიურ-გეოფიზიკური, გეოქიმიურ-მინერაგენიური სამუშაოების წარმართვა, სასარგებლო ნამარხთა საბადოების ფორმირების პირობების და განაწილების კანონზომიერების კვლევა. ფერად, იშვიათ, კეთილშობილ ლითონებზე, სათბობ-ენერგეტიკულ და არამადნეულ წიაღისეულზე რესპუბლიკის პოტენციალის განსაზღვრა.

1.11. რეგიონალური გეოეკოლოგიური კვლევითი სამუშაოების წარმართვა, ყველა სახის მიწისქვეშა წყლების რესურსებისა და მარაგის განსაზღვრა, დინამიური პროცესებისა და მოვლენების (მიწისძვრა, მეწყერი, ზღვის შელფის დინამიკა და სხვ.) შესწავლა და პროგნოზირება, პროფილაქტიკურ და მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოთა განხორციელება საშიში გეოლოგიური პროცესების თავიდან აცილების მიზნით. მინერალური ნედლეულის კომპლექსური შესწავლა თანამედროვე გეოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით.

1.12. ნედლეულის ბაზრის განსაზღვრის, უპირველესი მოთხოვნილების წიაღისეულის ძებნა-ძიების დაგეგმვის, სამუშაოთა კოორდინაციის განხორციელების მიზნით რესპუბლიკის უწყებებთან (საგარეო საქმეთა, მრეწველობის, ვაჭრობის, არქიტექტურისა და მშენებლობის და სხვა სამინისტროები) თანამშრომლობის ორგანიზაცია.

1.13. მინერალური ნედლეულის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების (მეორეული პროდუქტების, გამდიდრების ნარჩენების, ფუჭი ქანების) შესწავლა მრეწველობისა და წარმოების სხვადასხვა დარგებში მათი გამოყენების მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების დანერგვის უზრუნველყოფა.

1.14. მიღებული გეოლოგიურ-საძიებო და ტექნოლოგიური სამუშაოების შედეგების დანერგვის ხელშეწყობა სამთო-მომპოვებელ წარმოებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.15. რესპუბლიკის დარგობრივი სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების დაკვეთით, მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან, სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების წარმართვა.

1.16. საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანაში გეოლოგიური სამუშაოების, სპეციალიზებული გეოლოგიური და ტექნოლოგიური გამოკვლევების, სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე, წარმოების ორგანიზაცია.

1.17. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ორგანიზაციის მიერ (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) წარმოებულ ყველა სახის გეოლოგიურ სამუშაოებზე და მათ პროექტირებაზე საექსპერტო დასკვნების მომზადება.

1.18. ყველა სახის მინერალური ნედლეულის ძებნა-ძიებაზე, კონდიციებზე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მოსაზრებებზე საექსპერტო დასკვნების გაცემა.

1.19. სამშენებლო პროექტების, რეკონსტრუქციების, სამეურნეო საჭიროებისათვის ტერიტორიის ათვისების ექსპერტიზა იმ ნაწილში, რომელიც დარგის კომპეტენციას ექვემდებარება.

1.20. წიაღიდან სასარგებლო წიაღისეული მარაგების მაქსიმალურად სრული მოპოვების, მასში და მასთან ერთად მოპოვებული ნედლეულისა და ცალკეული კომპონენტების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე კონტროლის გაწევა დარგის კომპეტენციის ფარგლებში.

1.21. წიაღისა და წყლის კოდექსებით რეგლამენტირებული დებულებების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელება დარგის კომპეტენციის ფარგლებში.

1.22. მარაგების დასათვლელად სხვადასხვა სახის მინერალური ნედლეულისათვის კონდიციების დამტკიცება.

1.23. სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი და თანმხლები კომპონენტების რაოდენობის და ხარისხის ბუშმარიტების შემოწმება, ყველა სახის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის მასალების შემოწმება და მათ საფუძველზე დაძიებული მარაგების დამტკიცება, რომელსაც აწარმოებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვადასხვა ორგანიზაციები მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

1.24. გეოლოგიურ გამოკვლევათა წარმოებისათვის მეთოდური დებულებების და ინსტრუქციების განხილვა და დამტკიცება.

1.25. რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შეკვეთით შესრულებული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა და სპეციალიზებულ გეოლოგიურ გამოკვლევათა შედეგების (ანგარიშების) განხილვა და წიაღის გეოლოგიური შესწავლისათვის ჩატარებულ ყველა სახის სამუშაოთა შედეგების სახელმწიფო აღრიცხვა, ამ გამოუქვეყნებელი გეოლოგიური ინფორმაციის ცენტრალიზებული ფონდის შექმნა, რომელიც წარმოადგენს საარქივო ფონდის ნაწილს, და ამ ინფორმაციით არსებული წესის თანახმად ყველა დაინტერესებული სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის უზრუნველყოფა. სახელმწიფო გეოლოგიური ფონდების ფუნქციონირება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.26. გეოლოგიური ინფორმაციის ბანკის შექმნა და ერთიანი გამოთვლითი ცენტრის ფუნქციონირება.

1.27. სასარგებლო წიაღისეულის საბადოების პირველაღმომჩენთა და მათი სათანადო ფულადი ჯილდოს განმსაზღვრელი კომისიის ფუნქციონირების განხორციელება.

1.28. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული გეოლოგიური თვალსაზრისით უნიკალური ობიექტების გათვალისწინებით გეოტურიზმთან დაკავშირებული ორგანიზაციული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა, უნიკალური გეოლოგიური ობიექტების აღრიცხვა და დაცვა.

1.29. დეპარტამენტის გამგებლობაში არსებული ორგანიზაციების საშუალებით ზოგიერთი ტიპის საბადოთა ექსპლუატაციის წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1.30. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დეპარტამენტის გამგებლობაში არსებული ორგანიზაციების მეშვეობით მცირე საწარმოების, უცხოეთის ქვეყნების სათანადო წარმომადგენელთა მონაწილეობით ერთობლივი საწარმოების შექმნა და კომერციულ-საშუამავლო ფუნქციების შესრულება.

1.31. დეპარტამენტისა და მის გამგებლობაში არსებული ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ საკითხზე ზრუნვა.

2. გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დარგში:

2.1. დეპარტამენტის გამგებლობაში არსებული ორგანიზაციების საშუალებით ქვეყნის თავდაცვის, სახალხო მეურნეობის, განათლების, მეცნიერების, ტურიზმისა და მოსახლეობის გეოდეზიური მონაცემებითა და კარტოგრაფიული მასალებით უზრუნველყოფა:

— სპეციალური სამუშაოების აეროკოსმოსური გადაღების მასალებით უზრუნველყოფა;

— ყველა სახის ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების შესრულება. ზღვისა და მდინარეების შელფების შესწავლა. სხვადასხვა დანიშნულების სამუშაოების შესრულება აეროკოსმოსური გადაღების მასალების გამოყენებით;

— მნიშვნელოვანი საინჟინრო ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეფორმაციებზე დაკვირვება;

— ტოპოგრაფიული, ეკოლოგიური, თემატური, ტურისტული, სასწავლო და სხვა რუკებისა და სქემების შედგენა და მათი გამოცემა.

2.2. კადასტრის სამუშაოების ორგანიზაცია, გეოინფორმაციული სისტემის შექმნა.

2.3. ყველა სახის ტოპოგეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების ღირებულებისა და ხარისხის კონტროლი.

2.4. გეოდეზიური და კარტოგრაფიული მასალებისა და მონაცემების ერთიანი სახელმწიფო ფონდის შექმნა, მისი აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენებისადმი სათანადო კონტროლის დაწესება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.5. სამეცნიერო გამოკვლევების ორგანიზაცია და ერთიანი სამეცნიერო პოლიტიკის გატარება.

2.6. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე საჭირო რაოდენობის კადრების მომზადება.

2.7. საზღვარგარეთის ქვეყნებში ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების წარმოება სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

3. დეპარტამენტის მმართველობის ორგანოები

3.1. დირექტორი — საერთო ხელმძღვანელობა და კოლეგიის ხელმძღვანელობა.

3.2. დირექტორის ოთხი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე.

3.3. დირექტორის პირველი მოადგილე დირექტორის არყოფნის დროს ახორციელებს კოლეგიისა და დეპარტამენტის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

3.4. დირექტორის პირველი მოადგილე და მოადგილეები ახორციელებენ დეპარტამენტის აპარატის შესაბამისი სამმართველოებისა და განყოფილებების წელმძღვანელობას დარგებისა და მიმართულების მიხედვით.

3.5. დეპარტამენტის კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება 11 კაცით.

3.6. დეპარტამენტის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 24 სექტემბრის
№ 736 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის სტრუქტურა

ხელმძღვანელობა
სამუშაოთა პერსპექტიული განვითარებისა და მყარი წიაღისეულის
სამმართველო
რეგიონალური გეოლოგიისა და გეოფიზიკის სამმართველო
ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიის სამმართველო
გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამმართველო
საწარმოო-ტექნიკური სამმართველო
ეკონომიკურ-საფინანსო სამმართველო
გეოეკოლოგიური განყოფილება
საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილება
სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის განყოფილება
გეოლოგიური ფონდების, სპეცნაწილის და მარაგების კომისიის განყოფილება
საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება
საქმეთა მმართველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

176 საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს ძირითადი ფუნქციებისა და სტრუქტურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 15 აპრილის № 291 დადგენილების მე-10 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 24 სექტემბერი, № 737

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 24 სექტემბრის
№ 737 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსი

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო (შემდგომში — „სამინისტრო") არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ მმათველობის დარგს და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

2. სამინისტრო მისთვის მინიჭებულ უფლებებს ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოებისა და თავისი რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

3. სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით, ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

4. სამინისტროს ძირითადი ამოცანაა მის კომპეტენციაში შემავალ პრობლემათა წარმოჩენა, მათი გადაწყვეტის გზების გამონახვა და შემდგომი განხორციელება, მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში წარსადგენად კანონპროექტების შემუშავება.

5. სამინისტრო უზრუნველყოფს:

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის მიერ შემუშავებული მოსახლეობის დასაქმების, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიული პოლიტიკის განუხრელ გატარებას;

— შრომისა და სოციალური განვითარების პრობლემების გადაწყვეტის კომპლექსურ მიდგომას;

— ქვეყნის მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტისას სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა შემუშავებას და ცხოვრებაში გატარებას;

— ამ დებულებით გათვალისწინებულ საკითხებზე რესპუბლიკის მოქალაქეთა მიღებას და მათი წერილების განხილვას, წამოჭრილ პრობლემებზე გადაწყვეტილებათა მიღებას და შესაბამის ღონისძიებათა გატარებას.

6. სამინისტრო არის იურიდიული პირი, აქვს საკუთარი ანგარიში სახელმწიფო ბანკში და ბეჭედი რესპუბლიკის სახელმწიფო გერბითა და თავისი დასახელებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. სამინისტროს მიზნები და ამოცანები

7. სამინისტროს მიზნებია:

— რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომისა და დასაქმების, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

— პიროვნებისა და რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება;

— უმუშევართა დასაქმების მწყობრი სისტემის შექმნა;

— დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ფონდების შექმნა და მათი მიზნობრივი გამოყენება;

— მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიების შექმნა;

— იმიგრაციული, ემიგრაციული და შიდა მიგრაციული პროცესების რეგულირება და მართვა;

— საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის განსაზღვრა და ზრუნვა მისი შემდგომი ამაღლებისათვის;

8. სამინისტროს ამოცანებია:

ა) შრომისა და დასაქმების მიმართულებით:

— მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად დასაქმების რესპუბლიკური და რეგიონალური პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება;

— მოსახლეობის დასაქმების სისტემის რეგულირება რესპუბლიკის რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით;

— შრომის სახელმწიფო ბირჟისა და რეგიონალური ბირჟების შექმნა, კადრების პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემის შექმნა და მისი მეშვეობით დასაქმების პრობლემათა მართვა;

— რესპუბლიკის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში მოსახლეობის დასაქმების გარანტიების შექმნის მიზნით დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის შექმნა, მისი საქმიანობის განსაზღვრა და კოორდინაცია;

— რესპუბლიკის შრომითი რესურსების რაციონალური დასაქმების უზრუნველყოფისათვის შრომითი რესურსების რეგისტრის შექმნა, პროფესიათა აღრიცხვა, მათზე მიმდინარე მოთხოვნილების დადგენა და პროგნოზირება;

— დასაქმებისა და შრომითი რესურსების კრებსითი საპროგნოზო ბალანსების დამუშავება დარგთაშორის და რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად;

— დასაქმების ხელშემწყობი ახალი სამუშაო ადგილებისა და საწარმოების შექმნა კანონით დადგენილი წესით, საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დასაქმებისა და შრომის პირობების სახელმწიფო ინსპექტირება;

— საკუთრების ყველა ფორმის საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, კოოპერატივში, ფირმაში, კონცერნში, ასოციაციაში, კოლმეურნეობაში, გლეხურ მეურნეობაში, უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად (მათ შორის ერთობლივ საწარმოში) სახელმწიფო ინსპექციის განხორციელება შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის (მათ შორის ქალთა და მოზარდთა შრომის), საწარმოო სანიტარიის, შრომის უსაფრთხოების სტანდარტებისა და ნორმატივების შესრულებაზე, შრომის პირობებიდან გამომდინარე შეღავათებისა და კომპენსაციების გაცემაზე;

— შრომის ბირჟების ერთიანი სისტემის მომსახურებისათვის სოციალური სფეროს და დემოგრაფიული კადრების პროფესიული მომზადების სასწავლო პროცესის შექმნა;

— სამინისტროებთან, უწყებებთან და მმართველობის სხვა ორგანოებთან ერთად შრომის ნორმებისა და პირობების, შრომის დაცვის კრიტერიუმების, ნორმატივებისა და წესების შემუშავებასა და დამტკიცებაში მონაწილეობის მიღება;

— საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან და შესაბამის დარგობრივ პროფკავშირებთან ერთად შრომის პირობებიდან გამომდინარე შეღავათებისა და კომპენსაციების დასადგენად კრიტერიუმების, მაჩვენებლებისა და ნორმატივების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

— კომპეტენციის ფარგლებში საკითხის აღძვრა სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა (საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად), მათ შორის ერთობლივი საწარმოების თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის შესახებ;

— საქართველოს რესპუბლიკაში შრომითი რესურსების გაყვანა-შემოყვანის რეგულირება;

— შრომითი ურთიერთობებისა და შრომის ანაზღაურების პრობლემათა გადაწყვეტა საქართველოს მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებსა და საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე გადასვლის პირობებში;

— რესპუბლიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელფასის მინიმალური დონის განსაზღვრა დარგობრივი და რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით;

— შრომის საერთაშორისო ორგანიზაციებთან დამოუკიდებელი კავშირების დამყარება და მათი მეშვეობით ეროვნული კადრების საზღვარგარეთ შრომითი მოწყობისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

ბ) მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მიმართულებით:

— რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის საიმედო მექანიზმის შექმნა და მინიმალური სამომხმარებლო კალათის დამუშავება სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საცალო ფასებისა და მომსახურების ტარიფების დადგენა-რეგულირებაში მონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად;

— სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურების ტარიფებზე ფასების ინდექსების გაზრდის შემთხვევაში მოსახლეობისათვის კომპენსაციების ოდენობის განსაზღვრა და შემოსავლების ინდექსირება;

— მოსახლეობის სოციალურად ნაკლებად დაცული ფენებისათვის ხელშემწყობი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შექმნა;

— უმუშევრის სტატუსისა და მისთვის დახმარების ოდენობის განსაზღვრა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით;

— კატასტროფების, სტიქიური უბედურებისა და ეთნოკონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის, აგრეთვე ლტოლვილთათვის აუცილებელი საარსებო პირობების (საცხოვრებელი და სამუშაო) განსაზღვრა და მათი საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრებისა თუ ადაპტირებისათვის ხელშემწყობ ღონისძიებათა გატარება;

— კომპეტენციის ფარგლებში რესპუბლიკური და რეგიონალური საბინაო ფონდის განაწილების რეგულირება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად;

— ახალგაზრდა ოჯახების შექმნისა და ფორმირების ხელშემწყობი პირობების დადგენა და შესაბამის ღონისძიებათა გატარება;

— შიდარესპუბლიკურ მიგრაციულ და საერთო იმიგრაციულ პროცესებში მონაწილე მიგრანტთა ხელშემწყობი პირობების დადგენა და შესაბამის ღონისძიებათა გატარება;

— მიგრანტთა განსახლების პრობლემების რეგულირება და მათთვის ადგილებზე ადაპტაციისა და შრომითი მოწყობის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

— რესპუბლიკიდან მასშტაბური ემიგრაციის შემთხვევაში გამოთავისუფლებული სამუშაო ადგილების აღნუსხვა და ბრუნვა მათი დაკომპლექტებისათვის;

— საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველი ეროვნების მოსახლეობის სოციალური დაცვის პირობების შესწავლა და შესაბამის ღონისძიებათა გატარება;

— რესპუბლიკაში მიმდინარე იმიგრაციული და ემიგრაციული პროცესების აღრიცხვა, რეგულირება და მათი გათვალისწინება საქართველოს რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების საქმეში;

— მიგრანტთა რეგისტრი სოციალური, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;

— მოსახლეობის განსახლებისა და შიდა მიგრაციული პროცესების რაციონალიზაცია;

— მიგრაციის სამსახურის შექმნა და მისი საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმიგრაციისა და შიდა მიგრაციული პროცესების რეგულირებისათვის ხელშემწყობი საგანგებო საცხოვრებელი ფონდის შექმნა და მისი რაციონალური გამოყენება;

— ხელმოკლე, მრავალშვილიანი და ახალგაზრდა ოჯახების აღრიცხვა, მათი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესება და სხვა სახის დახმარებათა გაწევა;

— „ქართვლის დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად მრავალშვილიანი დედების კანდიდატურების წარდგენა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის;

— სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შექმნა და მისი საქმიანობის კოორდინაცია;

— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროსთან ერთად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების პროგნოზების შემუშავება;

—საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროსთან ერთად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საპროექტო გადაწყვეტილებათა კომპლექსური ექსპერტიზა.

III. სამინისტროს უფლებანი

9. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს:

— გააკონტროლოს სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებებისა და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შრომის, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის პოლიტიკის საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებათა შესრულება;

— შეისწავლოს და განიხილოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, ასევე საწარმოების, ორგანიზაციების, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურების ანგარიშები და მოხსენებები, რომლებიც ეხება მათ საქმიანობას სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის, მიგრაციული პროცესების ხელშეწყობის, შრომითი რესურსების დასაქმების, შრომის პირობების მდგომარეობის, შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვის საკითხებს. აღნიშნულ საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკიდან გადახვევის ან არასათანადო მუშაობის შემთხვევაში მისცეს მათ მითითებანი, საჭიროების შემთხვევაში კი საკითხი რეაგირებისათვის დააყენოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინაშე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—აღძრას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინაშე საკითხი სამინისტროების, უწყებების, დეპარტამენტების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ბრძანებათა და შითითებათა შეჩერების ან გაუქმების შესახებ, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან სახელმწიფო პოლიტიკას შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის საკითხებში;

— დააყენოს საკითხი, რომ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შეაჩეროს, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტმა და სასამართლომ გააუქმოს პრეფექტების ის აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სახელმწიფო პოლიტიკას შრომის, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის საკითხებში;

— შეაჩეროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან მუშახელის ორგანიზებული შეყვანის ღონისძიებანი, თუ ისინი არ შეესაბამებიან დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკას;

— სამინისტროს თანამდებობის პირებს, აგრეთვე სამინისტროს სპეციალური ნებართვით აღჭურვილ პირებს უფლება ეძლევათ არსებული წესის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმონ საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო, სამსახურებრივი და საბინაო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები;

— შექმნას სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები კანონით დადგენილი წესით, რომელთა ფუნქციონირება მიმართული იქნება მოსახლეობის დასაქმებისა და სოციალური დაცვის, ასევე ერთიანი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისათვის;

— შექმნას საგანგებო საცხოვრებელი ფონდი, რომელიც შემდგომში გამოიყენება საგანგებო შემთხვევების შედეგად დაზარალებული და ხელმოკლე, ძრავალშვილიანი და ახალგაზრდა ოჯახების ბინებით დაკმაყოფილებისათვის;

— დამოუკიდებლად დაამყაროს საქმიანი ურთიერთობანი უცხოეთის შესაბამის სამინისტროებთან, დეპარტამენტებთან, სხვადასხვა სახის სამსახურებთან და ცალკეულ პირებთან, მიიღოს მათი წარმომადგენლები და მიავლინოს საზღვარგარეთ თავისი თანამშრომლები.

10. სამინისტრო თავის დაქვემდებარებაში დადგენილი წესით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე განსაზღვრავს მათი საქმიანობის პროფილს და ამტკიცებს მათ დებულებებს.

11. სამინისტრო რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ამოწმებს და განაზოგადებს შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიული პოლიტიკის საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების მდგომარეობას.

12. სამინისტროს აქვს ბეჭდვითი სიტყვის საკუთარი ორგანო.

IV. სამინისტროს ხელმძღვანელობა

13. სამინისტროს სათავეში უდგას საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

შრომის სახელმწიფო ბირჟის, მიგრაციის სამსახურისა და ფონდების ხელმძღვანელებს თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრის წარდგენით.

15. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი:

— უზრუნველყოფს ამ დებულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას;

— ანაწილებს ფუნქციებს მინისტრის მოადგილეებს შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

— შეაქვს სამინისტროს ცენტრალური აპარატის დამტკიცებულ სტრუქტურაში ცვლილებანი დამტკიცებული შრომის ანაზღაურების ფონდისა და მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობის ფარგლებში;

— ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მათდამი დაქვემდებარებული არსებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებებსა და წესდებებს;

— იღებს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან სამინისტროს აპარატის მუშაკებს და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, განკარგულებებს, იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე;

— აუცილებლობის შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს რესპუბლიკის სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად.

16. მინისტრის მოადგილეებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებანი მათთვის მინიჭებული ფუნქციების ფარგლებში. მინისტრის არყოფნის შემთხვევაში მას ცვლის მისი პირველი მოადგილე.

17. მინისტრი, მისი მოადგილეები, სამმართველოთა უფროსები, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა გამგეები, აგრეთვე სამინისტროს სხვა თანამდებობის პირები პასუხს აგებენ თავიანთი გადაწყვეტილებებისა და განკარგულებებისათვის.

18. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა ზღვრულ რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

V. სამინისტროს კოლეგია

19. სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები, სამინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს სამმართველოთა უფროსები, აგრეთვე სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები. კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

20. სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ამოწმებს დავალებათა შესრულებას, განიხილავს დადგენილებათა, ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებასთან და ორგანიზაციასთან ურთიერთობის საკითხებს, ისმენს სამინისტროს კომპეტენციის საკითხებზე ავტონომიური რესპუბლიკების მართვის შესაბამისი ორგანოებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

21. კოლეგიის გადაწყვეტილება, როგორც წესი, გამოიცემა მინისტრის ბრძანების სახით. მინისტრსა და კოლეგიას შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, კოლეგიის წევრებს თავიანთი აზრი შეუძლიათ შეატყობინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

177 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შავი ზღვის აუზის ეკოლოგიურ პრობლემათა საერთაშორისო სპეციალიზებული ორგანიზაციის ფორმირების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შავი ზღვის აუზის ეკოლოგიურ პრობლემათა საერთაშორისო სპეციალიზებული ორგანიზაციის ფორმირების ხელშემწყობი კომისია 1 წლის ვადით.

2. კომისიის ადგილსამყოფელი განისაზღვროს აფხაზეთის ასსრ-ში, ქ. სოხუმში.

3. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ უზრუნველყოს კომისიისათვის საჭირო შენობის გამოყოფა ქ. სოხუმში და სათანადო მატერიალური ბაზის შექმნა.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **გ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 25 სექტემბერი, № 744

ეროვნული ბიბლიოთეკა

178 „საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს ძირითადი ფუნქციებისა და დებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 7 აგვისტოს № 616 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს ძირითადი ფუნქციებისა და დებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 7 აგვისტოს № 615 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი:

1. დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა 170 კაცით 2091,5 ათასი მანეთის წლიური შესანახი ხარჯებით, მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდი — 949,5 ათასი მანეთით (შენობის დაცვისა და მომსახურე პერსონალის გარეშე)“.

2. სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების ნუსხაში ნაცვლად სახელწოდებისა „საქადგილმეურნეოაჭრობა“ ჩაიწეროს „საქადგილწარმმომართველობა“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 25 სექტემბერი, № 745

ეროვნული ბიბლიოთეკა

179 საქართველოს ტერიტორიაზე „ზამთრის დროის“ შემოღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

შეიცვალოს მიმდინარე წლის 29 სექტემბრის ღამის 3 საათიდან რესპუბლიკაში დროის აღრიცხვა და გადაიწიოს საათის ისარი ერთი საათით უკან.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 27 სექტემბერი, № 746

180 საქართველოს რესპუბლიკის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თანდართული დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 30 სექტემბერი, № 747

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 30 სექტემბრის
№ 747 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდი თავის საქმიანობას წარმართავს „საქართველოში მიგრაციული პროცესების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 16 ივლისის ბრძანებულების, „საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შექმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 16 აგვისტოს № 657 დადგენილების და ამ დებულების შესაბამისად.

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (შემდგომში „ფონდი“), რომელიც შექმნილია მოქალაქეთა სოციალური დაცვისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, არის დამოუკიდებელი საფინანსო სისტემა. ფონდის ფულადი სახსრები არ შედის სახელმწიფო ბიუჯეტის ან სხვა ფონდის შემადგენლობაში და ამოღებასა და დაბეგვრას არ ექვემდებარება.

1.2. ფონდი დამოუკიდებელი იურიდიული პირია, აქვს მრგვალი ბეჭედი თავისი დასახელებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

ფონდს აქვს დამოუკიდებელი საფინანსო-სამეურნეო ბალანსი და ანგარიშსწორების ანგარიშები სახელმწიფო, კომერციულ, საგარეო ეკონომიკურ თუ სხვა ბანკში.

ფონდს უფლება აქვს იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო ან სამედიატორო სასამართლოში.

1.3. ფონდის სახსრები, მიღებული შემოსავლების (მათ შორის კომერციული შემოსავლების) ჩათვლით, აგრეთვე ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები თავისუფლდება სახელმწიფო და საბაჟო გადასახადებისაგან

1.4. ფონდის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

ფონდის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. ფონდის ამოცანები

2.1. ფონდის ამოცანებია:

შექმნას საგანგებო საცხოვრებელი ფონდი და პრეფექტურებთან ერთად აწარმოოს მისი მიზნობრივი განაწილება პირველ რიგში სტიქიით დაზარალებული ოჯახების დასაკმაყოფილებლად და ცალკეულ რეგიონებში დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მონაწილეობა მიიღოს შიდამიგრაციული და იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესების რეგულირებაში.

დახმარება გაუწიოს სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს.

3. ფონდის ქონება და სახსრები

3.1. ფონდის სახსრები წარმოიქმნება:

სოციალური დაცვის ნაწილში:

იმ სახსრების ხარჯზე, რომელსაც მიიღებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსაგან მათ მიერ რესპუბლიკაში სოციალური დაზღვევის სისტემის შემდგომი სრულყოფის ღონისძიების დაფინანსების საჭიროების გათვალისწინებით.

დემოგრაფიულ ნაწილში:

საწარმოთა, ორგანიზაციათა, საზოგადოებათა და სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა ნებაყოფლობითი შენატანების, აგრეთვე ფონდის სასარგებლოდ გაწეული კომერციული თუ სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

სტიქიისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილ ანგარიშებზე არსებული საქველმოქმედო თანხების აკუმულაციის ხარჯზე.

ფონდის შემოსავალ-გასავალს, შესრულების ანგარიშსა და რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსების ოდენობას განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

3.2. ფონდს დადგენილი წესის შესაბამისად მის განკარგულებაში არსებული სახსრებით, ბანკის სესხით ან სხვა წყაროებით უფლება აქვს:

— შეიძინოს მოსახლეობისაგან მათ კერძო საკუთრებაში არსებული სახლები (ბინები), გამოისყიდოს სხვადასხვა უწყებებისა და საზოგადოებების საკუთრებაში არსებული სახლები (ბინები), საცხოვრებლად განსაზღვრული დაუმთავრებელი ნაგებობები; უსასყიდლოდ მიიღოს სახლები (ბინები) მათი მფლობელების ნებასურვილით; გასცეს აღნიშნული სახლები (ბინები) დადგენილი წესით მათი ღირებულების სრული ან ნაწილობრივი დაფარვის მიზნით დაუწესოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიიღოს სარგებლობაში საჭირო მიწის ნაკვეთები, შეიძინოს, აიღოს იჯარით, მხარეებსა და ორგანიზაციებს მიჰყიდოს ან გადასცეს იჯარით შენობა-ნაგებობანი, საწარმოო და დამხმარე სათავსები, ტრანსპორტი და სხვა ქონება.

— დადოს ფონდის მიზნებიდან გამომდინარე ხელშეკრულებები სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან, ასევე შეასრულოს კანონით ნებადართული სხვა მოქმედებანი.

3.3. ფონდის სახსრების აკუმულაციისა და გამოყენების მიზნით სახელმწიფო ან კომერციულ ბანკში და ფონდის რეგიონალური განყოფილებების მომსახურე ბანკებში იხსნება ანგარიშები, ხოლო საკუთარი ბანკის შექმნის შემთხვევაში მომსახურება წარმოებს ამ ბანკის მეშვეობით.

ფონდის ანგარიშების ძიხედვით ოპერაციების განხორციელების წესს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფირის სამინისტრო.

3.4. ფონდის სახსრების ხარჯვის მიმართულებებს განსაზღვრავს ფონდის გამგეობა. ფონდის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა და გაცემა ხდება მისი გენერალური დირექტორის განკარგულებით.

3.5. კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენების, აგრეთვე ძოგების განაწილების წესს განსაზღვრავს ფონდის გამგეობა.

3.6. მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები გადადის მომავალ წელს და ამოღებას არ ექვემდებარება.

4. ფონდის უფლება-მოვალეობანი

4.1. ფონდი უფლებამოსილია დადგენილი წესით:

— შეიძინოს მუდმივ საცხოვრებლად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ წამსვლელი ოჯახების სახლები (ბინები);

— შექმნას საგანგებო შემთხვევებისათვის გათვალისწინებული საცხოვრებელი ფონდი;

— განახორციელოს მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები;

— მოახდინოს ფონდის ამოცანებიდან გამომდინარე ღონისძიებების დაფინანსება;

მოახდინოს სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილ ანგარიშებზე არსებული საქველმოქმედო თანხების აკუმულაცია და მათი მიზნობრივი ხარჯვა;

— აწარმოოს კომერციული საქმიანობა სტიქიით დაზარალებულთა და იმიგრანტ ოჯახთა საცხოვრებელი სადგომების მშენებლობისა და შეკეთებისათვის, განსაკუთრებული საცხოვრებელი ფონდის სახლებისა და ბინების შეკეთებისა და მშენებლობის დასრულებისათვის საჭირო საშენი მასალების, ასაკრები სახლების, ასევე დანადგარ-მოწყობილობათა, საწარმოო ხაზების, საწარმოების შეძენისათვის ექსპორტ-იმპორტის გზით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აწარმოოს ხელმოკლე, მრავალშვილიანი და სხვა სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების მიზნით კვების პროდუქტების (ალკოჰოლიანი სასმელების, საღეჭი რეზინის, თამბაქოს ნაწარმის გარდა), ტანსაცმლისა და ფართო მოხმარების საგნების, სატრანსპორტო საშუალებების იმპორტი და ბარტერული გაცვლების სახით საქონლის ექსპორტირება;

— მოაწყოს აღნიშნული საქმიანობის დასაფინანსებლად საქველმოქმედო აუქციონები, ლატარიები და სხვა ღონისძიებები, შექმნას საწარმოები და დაწესებულებები, დაამტკიცოს მათი დებულებანი და წესდებანი;

— მიიღოს შეწირულებანი საქართველოს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის იურიდიულ და ფიზიკურ პირთაგან.

5. ფონდის აღრიცხვა, ანგარიშგება, კონტროლი

5.1. ფონდი თავისი საქმიანობის საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას აწარმოებს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.2. ფონდის გამგეობა ყოველკვარტალურ ანგარიშს უდგენს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

5.3. ფონდის საქმიანობის შემოწმებას ახორციელებენ შესაბამისი საფინანსო ორგანოები.

6. ფონდის მართვა

6.1. ფონდის მმართველობის ორგანოებია: გამგეობა და აღმასრულებელი დირექცია.

6.2. ფონდის მმართველობის უმაღლესი ორგანოა გამგეობა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები და ფონდის გენერალური დირექტორი.

გამგეობის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

6.3. ფონდის გამგეობის თავმჯდომარე თანამდებობრივად არის საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი. ფონდის გენერალურ დირექტორს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს წარდგინებით.

6.4. ფონდის გამგეობა:

— განსაზღვრავს ფონდის პერსპექტიული და კონკრეტული საქმიანობის პროგრამას;

— ახორციელებს სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიან სახელმწიფო პროგრამას;

— ამტკიცებს ფონდის ცენტრალური და რეგიონალური აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურას, საშტატო განრიგსა და ხარჯთაღრიცხვას;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს ფონდის საქმიანობისათვის აუცილებელ დებულებებსა და ინსტრუქციებს;

— ქმნის ფონდის საწარმოებსა და დაწესებულებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამტკიცებს ფონდის დირექციის იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულია არსებული წესებიდან გამონაკლისის დაშვებით.

6.5. ფონდის გამგეობის სხდომები იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც. გამგეობის გადაწყვეტილებების მიღება ხდება შეთანხმების წესით. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტმა.

6.6. ფონდის გამგეობა ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინაშე.

6.7. ფონდის მიმდინარე საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას წარმართავს და გამგეობის გადაწყვეტილებებს განახორციელებს მისი დირექცია.

ფონდის დირექცია ანგარიშვალდებულია გამგეობის წინაშე, რომელსაც ყოველკვარტალურად უდგენს თავისი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანგარიშს.

6.8. ფონდის გენერალური დირექტორი:

— უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე იმოქმედოს ფონდის სახელით. იგი წარმართავს დირექციის საქმიანობას, წარმოადგენს ფონდს სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში, პასუხს აგებს ფონდის მიმდინარე სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისათვის, დებს ფონდის ამოცანებიდან გამომდინარე ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის ფონდის ანგარიშებს;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, გასცემს განკარგულებებს.

7. ფონდის საქმიანობის შეწყვეტა

7.1. გადაწყვეტილებას ფონდის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ იღებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. ფონდის საქმიანობის შეწყვეტისა და მის განკარგულებაში არსებული ფულადი და მატერიალური სახსრების შემდგომი გამოყენების საკითხი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

181 ქალაქ თბილისში გერმანიის ფირმა „ნელოპის“ წარმომადგენლობის გახსნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიას შორის პარტნიორული საფინანსო-კომერციული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და გერმანიის ფირმა „ნელოპის“ ხელმძღვანელობის თხოვნა და ნება დაერთოს ამ ფირმას გახსნას თავისი წარმომადგენლობა ქალაქ თბილისში.

2. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მოახდინოს გერმანიის ფირმა „ნელოპის“ წარმომადგენლობის აკრედიტაცია და შეუქმნას მას ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **გ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 3 ოქტომბერი, № 762

182 საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების ამოღების დებულების დამტკიცების შესახებ

„დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების ამოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **გ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 4 ოქტომბერი, № 769

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 4 ოქტომბრის
№ 769 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების ამოღების შესახებ

I. დასაქმების ფონდში ანარიცხების გადამხდელები, ოდენობის განსაზღვრა და შეტანის ვადები

„დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის და „დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 25 ივლისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას (შემდგომში „საწარმოს“), საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის, აგრეთვე უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ყოველთვიური სავალდებულო ანარიცხები შეაქვს დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში (შემდგომში „დასაქმების ფონდი“) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით. ეს ანარიცხები, როგორც წესი, წარმოებს შრომის ანაზღაურების სახსრებიდან (ყველა სახის პრემიისა და ერთდროული დახმარების გამოკლებით), შეიტანება პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებაში, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის კი — ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

მაგალითად, საწარმოში ერთი თვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 100 000 მანეთს, ყველა სახის პრემია — 10 000 მანეთს, ხოლო ერთდროული დახმარებები — 5000 მანეთს. ამ პირობებში დასაბეგრი შრომის ანაზღაურების სახსრები განისაზღვრება 85 000 მანეთით (100 000 — 10 000 — 5000 = 85000). თუ ანარიცხების ნორმატივი 1991 წლისათვის დადგენილია 3 პროცენტის ოდენობით, მაშინ დასაქმების ფონდში ერთი თვის შედეგებით შესატანი თანხა შეადგენს 2550 მანეთს.

საწარმოები ვალდებული არიან შენატანები გადარიცხონ თვეში ერთხელ იმ ვადებში, რომლებიც დადგენილია თვის მეორე ნახევრის ხელფასის გასაცემად, მომსახურე ბანკებში თვის მეორე ნახევრის ხელფასის გაცემის დოკუმენტების წარდგენასთან ერთად.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი, სპეციალიზებული ბანკები და მათი რეგიონალური თუ ადგილობრივი ფილიალები საწარმოებისათვის შრომის ანაზღაურების სახსრების გაცემისას, ანალოგიურად საშემოსავლო გადასახადისა, თვალყურს ადევნებენ დასაქმების ფონდში ანარიცხების სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხვას, რისთვისაც საბანკო დაწესებულებებიდან შრომის ანაზღაურების სახსრები გაიცემა მხოლოდ დასაქმების ფონდში კუთვნილი ანარიცხების წინმსწრები ჩარიცხვის პირობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაქმების ფონდში შენატანების თანხები განისაზღვრება გადამხდელთაგან დამოუკიდებლად.

შენატანების დავალიანების უქონლობის შემთხვევაში გადამხდელის მიერ ხელფასის ასანაზღაურებლად ფულის მიღებისათვის ქვითრის უკანა მხარეს კეთდება ჩანაწერი „დასაქმების ფონდში შენატანების დავალიანება არ არის“.

დასაქმების ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების სახით სახსრების გადარიცხვისას გადამხდელები საკუთარი ანგარიშსწორების ანგარიშის ადგილმდებარეობის მიხედვით წარადგენენ ბანკში საგადამხდელო დავალებებს.

II. დასაქმების ფონდში ანარიცხების შეტანის წესი

დასაქმების რესპუბლიკურ ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების შენახვისა და აღრიცხვისათვის საქართველოს სოციალური განვითარების სააქციო-კომერციულ ბანკში და დასაქმების ფონდის რეგიონალური ფილიალების მომსახურე შესაბამის რაიონულ საბანკო დაწესებულებებში იხსნება საბალანსო ანგარიში № 001700379 — „დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სახსრების შემოსულობანი“.

ანგარიშები გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი ანგარიშსწორების, მიმდინარე და საბიუჯეტო ანგარიშების საბანკო დაწესებულებებში გახსნის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების დასაქმების ფონდების ქვეანგარიშებზე დაგროვილი მიზნობრივი ანარიცხები დასაქმების რესპუბლიკურ ფონდში შეიტანება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების დასაქმების ფონდებისა და დასაქმების რესპუბლიკური ფონდის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

III. თანხების შემოსავლისათვის გადამხდელთა პასუხისმგებლობა

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა საწარმო ვალდებულია ჩარიცხოს და გადაიხადოს დასაქმების ფონდში:

— ანარიცხები შრომის ანაზღაურების სახსრებიდან ნორმატივის მიხედვით;

— დადგენილ ვადებში ანარიცხების გადაუხდელობისათვის დარიცხული საურავები ყოველი გადაცილებული დღისათვის 0,05 პროცენტის ოდენობით;

— დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის მიერ დადებული ჯარიმები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გადამხდელები ვალდებული არიან ბანკის დაწესებულებაში წარსადგენი საგადასახადო დავალებები თანხების გადარიცხვის შესახებ სრულად გამოწერონ მათ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ოდენობის მიუხედავად.

საგადასახადო დავალებებს შენატანების შესახებ ასრულებენ საბანკო დაწესებულებანი.

მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებელი საგადასახადო დავალებები შენატანების გადარიცხვაზე რჩება საბანკო დაწესებულებაში და სრულდება მათ მიერ გადამხდელის მიმდინარე ან ანგარიშსწორების ანგარიშზე თანხების შემოსავლისთანავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგადასახადო დავალებები დასაქმების ფონდში შენატანების გადახდაზე გამოიწერება სრულ მანეთებში (კაპიკების გარეშე).

ნარჩენის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ირიცხება საურავი 0,05 პროცენტის ოდენობით, დაწყებული გადახდის ვადის მომდევნო დღიდან, ფაქტიურად გადახდის დღის ჩათვლით (მაგალითად, თუ ანარიცხების გადახდის ვადა დადგენილი იყო 5 ივნისს, გადახდა კი 15 ივნისს მოხდა, საურავი დაირიცხება 10 დღეზე, 6-დან 16 ივნისის ჩათვლით).

გადახდის დღედ ითვლება:

— გადამხდელის ანგარიშიდან გადასახადის გადარიცხვისას — საბანკო დაწესებულებების მიერ გადამხდელის ანგარიშიდან ჩამოწერის დღე, შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის დროის მიუხედავად (მაგალითად, თუ გადამხდელის ანგარიშიდან საბანკო დაწესებულების მიერ გადასახდელი ანარიცხების თანხა ჩამოიწერა 15 ივნისს, ხოლო დასაქმების ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხა 17 ივნისს, 15 ივნისი ჩაითვლება გადახდის დღედ);

— ნაღდი ფულის შეტანისას — შესაბამის საბანკო განყოფილებაში ფულის შეტანის დღე (მაგალითად, თუ ფული შეტანილ იქნა 15 ივნისს, გადახდის დღედ ჩაითვლება სწორედ 15 ივნისი);

— საფოსტო გზავნილებისას ან საბანკო დაწესებულებების მიერ ფულის გადარიცხვისას — საფოსტო განყოფილებაში ან საბანკო დაწესებულებაში ფულის შეტანის დღე (მაგალითად, თუ საფოსტო განყოფილებაში ან საბანკო დაწესებულებაში ფული შეტანილ იქნა 20 ივნისს, ეს დღე ჩაითვლება გადახდის დღედ).

იმ შემთხვევაში, როცა გადახდის დღე ემთხვევა უქმე (სადღესასწაულო) დღეებს, საურავი ერიცხება უქმეს (სადღესასწაულოს) მეორე სამუშაო დღიდან (მაგალითად, თუ ანარიცხების გადახდის ვადა ემთხვევა 10 აგვისტოს — კვირა-დღეს, ან 7 იანვარს — შობა-დღეს, საურავი დაერიცხება გადასახდელ თანხას შესაბამისად 11 აგვისტოდან და 8 იანვრიდან).

საურავი ერიცხება ვადაგადაცილებულ გადასახდელს სრულ მანეთებში (მაგალითად, თუ საწარმოს ვადაგადაცილებული გადასახდელი შეადგენს 12560 მანეთსა და 66 კაპიკს, საურავი დაირიცხება 12561 მანეთზე).

საწარმოები ვალდებული არიან თვითონ დაარიცხონ საურავი ნარჩენის მთლიან თანხაზე, ვადის გადაცილების მთელი პერიოდის განმავლობაში და ასახონ ის დასაქმების ფონდში გადასახადების საანგარიშსწორებო უწყისში. თუ საურავი არ არის დარიცხული გადამხდელის მიერ, მისი საანგარიშსწორებო უწყისის შემოწმებისას, საურავებს არიცხავენ დასაქმების სახელმწიფო ინსპექციები, რის შესახებაც წერილობით ატყობინებენ გადამხდელს.

საბანკო დაწესებულებათა მიზეზით გადასახდელების არადროული ჩარიცხვის შემთხვევაში საბანკო დაწესებულებები დასაქმების ფონდს შემოსავალში უხდიან საურავს ყოველი გადაცილებული დღისათვის, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით. გადამხდელებიდან ამ დღეების განმავლობაში საურავი არ ამოიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენატანების ნარჩენი, რომელიც არ დაიფარება დათქმულ ვადაში, ამოიღება საურავის დარიცხვითურთ უდავო წესით, ვადაზე შეუტანელი გადასახადების ამოღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ნარჩენების უდავო წესით ამოღების ძირითადი ღონისძიებაა დასაქმების ფონდის შემოსავალში თანხების ჩაშოწერა იმ ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიშებიდან, რომლებიც გახსნილი აქვთ ნარჩენების მქონე საწარმოებს საბანკო დაწესებულებებში, და იმ განსაკუთრებული ანგარიშებიდან, რომლებიც გახსნილია ნარჩენის მქონე საწარმოთა ხარჯზე.

ნარჩენსა და საურავს ნარჩენის მქონე საწარმოების ანგარიშებზე არსებული სახსრების ხარჯზე ფარავენ საბანკო დაწესებულებები საინკასო დავალების (განკარგულების) საფუძველზე, რომელსაც შეადგენს დასაქმების სახელმწიფო ინსპექცია საგადასახადო დავალების ბლანკზე (0401002). საინკასო დავალების ფორმები გათვალისწინებულია „სახალხო მეურნეობაში უნაღდო ანგარიშსწორების წესების შესახებ“ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1987 წლის 30 სექტემბრის № 2 ინსტრუქციით.

ანარიცხების ნარჩენის ამოღებისას ხანდაზმულობის ვადებს არ იყენებენ.

დასაქმების სახელმწიფო ინსპექციას დასაქმების რესპუბლიკურ ფონდთან შეთანხმებით გამონაკლის შემთხვევებში გადამხდელის თხოვნით შეუძლია განუვადოს ნარჩენის დაფარვა. განვადების გადაწყვეტილებაში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რა დროით განევადა ნარჩენის დაფარვა და განვადების პერიოდისათვის დაერიცხოს თუ არა საურავი.

თუ ნარჩენი არ დაიფარება დადგენილ ვადაში, განვადების დრო განახლდება მთელი განვადებული პერიოდისათვის საურავის დარიცხვით ნარჩენის წარმოშობის დღიდან.

საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც ჯეროვნად ან საერთოდ არ შეასრულებენ დასაქმების ფონდში ანარიცხების შესატანად მათთვის დაკისრებულ მოვალეობას, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

დასაქმების სახელმწიფო ინსპექცია დასაქმების რესპუბლიკური ფონდის გამგეობასთან შეთანხმებით მასალებს დარღვევათა ფაქტების შესახებ უგზავნის რესპუბლიკის პროკურატურას.

IV. დასაქმების ფონდის სახსრების აღრიცხვა-ანგარიშგება

დასაქმების ფონდში გადასარიცხი თანხები აღირიცხება საწარმოების მიერ ახლადშემოსაღებ ანგარიშზე „ანგარიშსწორებანი დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდთან“ სახსრების ყველა სახეობის მიხედვით, ცალკეულ სუბანგარიშებზე.

ანგარიშის კრედიტში „ანგარიშსწორებანი დასაქმების სახელმწიფო ფონდთან“ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ფონდში გადასარიცხი თანხები, ხოლო დებეტში — ფაქტიური გადარიცხვები.

საწარმოები ყოველკვარტალურად ადგენენ საანგარიშსწორებო უწყისებს ორ ეგზემპლარად დასაქმების ფონდის სახსრების მიხედვით, რომლებშიც უჩვენებენ დარიცხულ და გადახდილ თანხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საანგარიშსწორებო უწყისების ყველა ეგზემპლარს ხელს აწერენ საწარმოს ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი.

საანგარიშსწორებო უწყისის (ანგარიშგების) თითო პირს საწარმოები ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 8 რიცხვისა (8 აპრილი, 8 ივლისი, 8 ოქტომბერი და 8 იანვარი), წარუდგენენ დასაქმების სახელმწიფო ინსპექციას.

საანგარიშსწორებო უწყისის მეორე პირი რჩება გადამხდელის ბუღალტერიაში.

ნაერთი ეგზემპლარი შესაბამისი ტერიტორიის მიხედვით უნდა წარედგინოს დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის ზემდგომ ორგანოს, მის მიერ დადგენილ ვადებში.

V. ანარიცხების გადამხდელთა საჩივრების განხილვის წესი

დასაქმების სახელმწიფო ინსპექციასა და შენატანების გადამხდელებს შორის შენატანებისა და საურავების დარიცხვის, ნარჩენების ამოღების საკითხების ირგვლივ წამოჭრილი ყოველგვარი დავა წყდება ამ დებულებით, ან სასამართლოს წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შენატანების, საურავების გამოანგარიშებისა და ამოღების ხაზით დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს გადამხდელთა მიერ ათი დღის ვადაში. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროში გადაწყვეტილება საჩივრების ირგვლივ მიიღება ხუთი დღის ვადაში.

საჩივრის შემოტანა არ აჩერებს სახსრების ამოღების მიმდინარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

183 საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკაში საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბების, სამარკეტინგო საქმიანობის გაშლის, ბაზრის კომპლექსური გამოკვლევისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესწავლის მიზნით დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს თხოვნა და შეიქმნას სამინისტროსთან სამეურნეო ანგარიშზე მოქმედი მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შემსწავლელი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ბაზაზე.

2. მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობა წარიმართოს მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების, სამომხმარებლო ბაზრის ფორმირებისა და რეგულირების მეცნიერულ-ინფორმაციული უზრუნველყოფის, აგრეთვე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების, მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების წყაროების გამოკვლევისა და სხვა ღონისძიებათა და რეკომენდაციათა შემუშავებისათვის.

3. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები განხორციელდეს საჯელშეკრულებო ურთიერთობათა საფუძველზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ დაამტკიცოს მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 7 ოქტომბერი, № 771

ეროვნული
ბიბლიოთეკა

184 „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებანი „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 დადგენილების მე-5 პუნქტის მეშვიდე აბზაცში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„— აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა — დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე წარმოებულ ჭარბ პროდუქციაზე;

— ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურები (გარდა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა) — დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე წარმოებულ ჭარბ პროდუქციაზე (ლიცენზიას ძალა აქვს სახელმწიფო შეკვეთის შესრულების შესახებ შესაბამისი სამინისტროს მიერ გაცემულ ცნობასთან ერთად).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728 დადგენილების დანართი № 1 „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნუსხა, რომლის გატანაც დროებით შეიძლება მხოლოდ ლიცენზიით“ და მის სანაცვლოდ დამტკიცდეს თანდართული ნუსხა.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 10 ოქტომბერი, № 774

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 10 ოქტომბრის
№ 774 დადგენილების დანართი № 1

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნუსხა, რომლის გატანაც დროებით შეიძლება მხოლოდ ლიცენზიით

ალკოჰოლიანი სასმელები
ხილის წვენები
ხილის კომპოტები
ჩაი
მინერალური წყლები
თამბაქოს ნედლეული
თამბაქოს ნაწარმი
ციტრუსები
ვაშლი
ხილის კონცენტრატები
ნაყენები (სპირტიანი და სხვა)
ბავშვთა კვების პროდუქტები
ბოსტნეული
მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, ფუტკრის შხამი და სხვა)
ბამბუკის შოლტები
ეთერზეთოვანი პროდუქცია
სამკურნალო მცენარეები
მედიკამენტები
კერამიკული ნაწარმი
საყოფაცხოვრებო სამზარეულო მოწყობილობანი
სანტექნიკური ნაწარმი
კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილები
მეტლახის ფილები
ლინოლეუმი
ბაზალტის, მარმარილოს, გრანიტის, ტუფის, ეკლარის და ნიჟაროვანი ფილები
რბილი სახურავი (რუბეროიდი, პერგამინი)
პლასტმასის მილები
ხარისხოვანი ჭურჭელი
ლითონის ჭურჭელი
დიატომიტი
ტექნიკური აგატი
ტექნიკური ნაწარმი პოლიეფირული ბეტონისაგან
მარგანეცის მადანი
სპილენძი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვარციტები
დარიშხანი
თუთია
ტყვია
მარმარილო, გრანიტი, ბაზალტი და სხვა
ქვანახშირი
მინერალური სასუქები
კოშკური ამწეები
ავეჯი
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ნაწარმი
ნართი და ძაფები
სათამაშოები
ტელევიზორები
პიანინო
საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქცია
ლოგინის და სუფრის თეთრეული
სასკოლო-საკანცელარიო საქონელი
სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მცირე მექანიზაციის საშუალებები
რკინა-ბეტონის კონსტრუქციები
ლითონის ნაირსახეობა (ლურსმანი, ფურცლოვანი ფოლადი, ფოლადის სახურავი)
აზბესტოშიფერი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

185 საქართველოს რესპუბლიკაში მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რესპუბლიკური კომისიის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მდგომარეობამ საგანგაშო ზღვარს მიაღწია, ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა ჯეროვან შედეგს არ იძლევა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში დასაქმებული ორგანიზაციების უწყებრივი მიდგომით აღნიშნული პრობლემის გადაჭრისადმი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ტრანსპორტზე ავარიის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკაში მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რესპუბლიკური კომისიის თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 1 ნოემბრის № 683 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რესპუბლიკური კომისიის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი, № 775

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 11 ოქტომბრის
№ 775 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკაში მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რესპუბლიკური კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რესპუბლიკაში მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რესპუბლიკური კომისიის (შემდგომში „კომისია") ძირითადი ამოცანებია:

— საქართველოს რესპუბლიკაში მოძრაობის უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი დანერგვის ხელშეწყობა საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო, საზღვაო და სპეციალური სახეობის ტრანსპორტზე;

— სამინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა მიერ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიმართული საქმიანობის კოორდინაცია.

2. კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

3. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებითა და განკარგულებებით, მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

4. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინაშე.

5. კომისიის გადაწყვეტილებანი სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა ან უწყებრივი დაქვემდებარებისა), აგრეთვე რესპუბლიკის ავტონომიური ფორმირებების, ქალაქების და რაიონებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

6. კომისიის გადაწყვეტილებათა განხილვის შედეგები კომისიას ეცნობება ერთი თვის ვადაში, თუ თვით გადაწყვეტილებაში არ არის აღნიშნული სხვა ვადა.

7. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება საბოლოოა.

8. მიმდინარე მუშაობის შესასრულებლად კომისიასთან იქმნება მუდმივმოქმედი ორგანო — კომისიის სამდივნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. კომისიის ფუნქციები და ამოცანები

9. კომისია დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის იმ წინადადებებს, რომლებიც მოითხოვენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილების მიღებას;

— განიხილავს საძინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა, აგრეთვე რესპუბლიკის ავტონომიური ფორმირებებისა და პრეფექტურების წინადადებებს უსაფრთხო მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფის საკითხებზე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

— აანალიზებს, ასაბუთებს და შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს წარუდგენს წინადადებას ავარიულობის თავიდან აცილებისათვის მიმართულ ღონისძიებათა ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფისათვის;

— განიხილავს და წყვეტს სარკინიგზო გადასასვლელების გახსნისა და დახურვის, რკინიგზებზე გზაგამტარების მშენებლობისა და სატრანსპორტო კვანძების გახსნასთან დაკავშირებულ რესპუბლიკის საერთო დანიშნულების გზებზე ან მის ცალკეულ მონაკვეთებზე სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლუატაციოდ დაშვებისა და აკრძალვის საკითხებს;

— პერიოდულად მოისმენს და საჭიროების შემთხვევაში ამოწმებს სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ავტონომიური ფორმირებების, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელთა ანგარიშებს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ისინი მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში არსებული კანონმდებლობის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებისა და განკარგულებების, კომისიის გადაწყვეტილებების მოთხოვნებს;

— კოორდინაციას უწევს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაობას მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში არსებული პრობლემების მეცნიერულად შესწავლისა და გადაწყვეტისათვის, შეისწავლის სხვა სახელმწიფოების მოწინავე გამოცდილებას და იღებს ზომებს მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დასანერგავად;

— განიხილავს მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში არსებული წესების დარღვევის ფაქტებს, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და აწესებს სათანადო კონტროლს მისი შესრულებისადმი.

10. კომისიის სამდივნო:

— მონაწილეობს კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაში;

— განიხილავს და განაზოგადებს სამინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა, რესპუბლიკის ავტონომიურ ფორმირებათა, ქალაქების და რაიონების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მიმართულ წინადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებებს, მათ საფუძველზე ამზადებს კომისიის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების პროექტებს;

— უზრუნველყოფს კომისიის გადაწყვეტილებათა დროულად დაგზავნას შემსრულებლებისათვის და აკონტროლებს დაწესებულ ვადებში აღნიშნულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

— უზრუნველყოფს კომისიის დოკუმენტაციის წარმოებას, კომისიის წევრებისათვის სხდომის მოწვევისა და სხვა ღონისძიებათა შეტყობინებას, მათთვის დღის წესრიგის მასალებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების წინასწარ გაცნობას.

III. კომისიის უფლებები

11. კომისიას უფლება აქვს:

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში შეიტანოს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდგომი სრულყოფის დასაბუთებული წინადადება;

— დაამტკიცოს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში მოქმედი დროებითი მოთხოვნები საქართველოს რესპუბლიკის კანონის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილების მიღებამდე;

— განიხილოს მოძრაობის უსაფრთხოების სრულყოფისაკენ მიმართული საკანონმდებლო ნორმატიული აქტების, სტანდარტების შეცვლის პროექტები;

— გაეცნოს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ წარმართული მუშაობის მდგომარეობას საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერ ორგანიზაციაში, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე რესპუბლიკის ავტონომიურ ფორმირებებში, ქალაქებსა და რაიონებში და მოისმინოს თავის სხდომებზე მათი ხელმძღვანელობის ანგარიშები;

— დაავალოს საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერ ორგანიზაციას, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე ავტონომიურ ფორმირებებს, ქალაქებსა და რაიონებს მოამზადონ მასალები კომისიის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე განსახილველად წარსადგენ საკითხებზე;

— შეიტანოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, სამინისტროებსა და უწყებებში წინადადება იმ დარგების და საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ მომთხოვნელობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს;

— შექმნას კომისიები, ქვეკომისიები, ჯგუფები სპეციალური საკითხების წინასწარ შესასწავლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

12. კომისიის მუშაობა ძირითადად ხორციელდება მის სხდომებზე დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

13. კომისიის სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ. სხდომის ჩატარების დროსა და მასზე განსახილველ საკითხებს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

14. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილება საჭიროების შემთხვევაში ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

15. კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომლის პროექტი სხდომის წინ ეგზავნებათ კომისიის წევრებს წინადადებათა მოსამზადებლად და წარმოსადგენად. ოქმში აისახება განხილულ საკითხთა შინაარსი და მიღებულ გადაწყვეტილებათა ფორმულირებანი. ოქმს ხელს აწერენ კომისის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი.

16. კომისიის სხდომაზე განსახილველ საკითხთა ხასიათის შესაბამისად მოიწვევიან დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

17. კომისიაზე განსახილველ მასალებს ამზადებენ სამდივნო, ქვეკომისიები ან სპეციალური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც, როგორც წესი მტკიცდება კომისიის სხდომებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

186 შრომისუუნარო პირთა მომვლელი შრომისუნარიანი უმუშევარი მოქალაქეებისათვის საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით კომპენსაციის გაცემის შესახებ

შრომისუუნარო პირთა მომვლელი შრომისუნარიანი უმუშევარი მოქალაქეებისათვის საცალო ფასების რეფორმის გამო კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

გაიცეს კომპენსაციები თვეში 60 მანეთის ოდენობით შრომისუნარიან უმუშევარ პირებზე, რომლებიც უვლიან I ჯგუფის ინვალიდებს, 16 წლამდე ასაკის იხვალიდ ბავშვებსა და 80 წლის ასაკს გადაცილებულ ხანდაზმულებს.

აღნიშნული კომპენსაციები გაიცეს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდის ხარჯზე შრომისუნარმოკლებული პირის მოვლის პერიოდში, მათ პენსიასთან ერთად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 18 ოქტომბერი, № 794

187 ქალაქ ბოლნისის № 114 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება 1992 წლის 1 იანვრიდან ქალაქ ბოლნისის № 114 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შექმნის შესახებ.

2. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს განახორციელოს მოსწავლეთა მიღება ქალაქ ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 1992/93 სასწავლო წლიდან.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 18 ოქტომბერი, № 797

ეროვნული ბიბლიოთეკა

188 საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან საინოვაციო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების, მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეთა საფუძველზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერებისა და გამომგონებლებისათვის ორიგინალური მეცნიერულ-ტექნიკური პროექტების ხორცშესხმის საქმეში ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. ჩამოყალიბდეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან საინოვაციო ფონდი.

საინოვაციო ფონდი არის საკუთარი დებულების საფუძველზე მოქმედი რესპუბლიკური სახელმწიფო ორგანიზაცია, რომლის ამოცანაა ხელი შეუწყოს მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში სიახლეთა შემუშავებასა და წარმოებაში დანერგვას. ამ ამოცანის შესასრულებლად ფონდი მონაწილეობს ინოვაციის სფეროში რესპუბლიკის საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრაში, დარგობრივ და რეგიონალურ დაწესებულებათა ანალოგიური საქმიანობის კოორდინაციის განხორციელებაში.

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან არსებული საინოვაციო ფონდის თანდართული დებულება.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან არსებული საინოვაციო ფონდის სახსრები იქმნება შემდეგი წყაროები ხარჯზე:

ა) ყოველწლიური სახელმწიფო შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრებიდან სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საშუშაოთა დაფინანსების სახსრების 5 პროცენტი ფონდის შექმნიდან ორი წლის განმავლობაში;

ბ) საინოვაციო ფონდის მონაწილეთა შენატანები, სამინისტროების, უწყებების, ბანკების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების, საზღვარგარეთის ფირმების, საერთაშორისო ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შენატანები;

გ) საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური და ფონდის პროფილის შესაბამისი საწარმოო საქმიანობისაგან, საინოვაციო ფონდის მიერ ჩატარებული ღონისძიებებისაგან, ერთობლივ საწარმოებში მონაწილეობისაგან მიღებული შემოსავალი და სხვა შემოსულობანი;

დ) საინოვაციო ფონდის მონაწილეობით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული საწარმოს შემოსავლის (მოგების) ნაწილი, ამ პროდუქციის წარმოებისაგან შემოსავლის მიღების დაწყებიდან სამი წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ გადაეცეს საინოვაციო ფონდს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საკრედიტო რესურსებიდან 10 მილიონი მანეთი სამეცნიერო-კვლევით და ტექნოლოგიურ ღონისძიებათა შეღავათიანი დაკრედიტებისათვის.

3. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან არსებული საინოვაციო ფონდი განთავისუფლდეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან.

საინოვაციო ფონდის მონაწილეობით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული საწარმოს შემოსავალი (მოგება), ამ პროდუქციის წარმოებისაგან შემოსავლის მიღების დაწყებიდან 3 წლის შემდეგ იბეგრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 18 ოქტომბერი, № 798

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 18 ოქტომბრის
№ 798 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან არსებული საინოვაციო ფონდის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან არსებული საინოვაციო ფონდი არის სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეთა შემუშავებასა და უმოკლეს დროში დანერგვას.

საინოვაციო ფონდი არის იურიდიული პირი. იგი აფინანსებს მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებათა პროექტებს, საინოვაციო-ტექნიკურ, საკონსულტაციო, საპატენტო, საშუამავლო მომსახურებას უწევს წარმოება-დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, შემოქმედებით კოლექტივებს, კვლევით ჯგუფებს, ცალკეულ მეცნიერებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს.

საინოვაციო ფონდის მონაწილე შეიძლება იყოს დაინტერესებული სამინისტრო, დეპარტამენტი, უწყება, გაერთიანება, წარმოება-დაწესებულება.

2. საინოვაციო ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— მეცნიერულ-ტექნიკური პროექტების, მათ შორის რისკიანი პროექტების დამუშავების ორგანიზაცია და დაფინანსება სუბსიდიების ფორმით ან კონტრაქტებისა და კრედიტის საფუძველზე, რომელიც გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკისაგან მიღებული ლიცენზიით;

— მონაწილეობის მიღება ინოვაციის სფეროში საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, საქართველოს რესპუბლიკაში საინოვაციო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების, მათ შორის ბანკების შექმნის შესახებ წინადადებათა განხილვასა და მათი ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის თაობაზე დასკვნების მომზადებაში;

— მონაცემთა საინფორმაციო ბანკის ფორმირება და შევსება პერსპექტიული მეცნიერულ-ტექნიკური პროექტების, გადაწყვეტილებების, იდეების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ;

— მეცნიერულ-ტექნიკური იდეებისა და პროექტების კონკურსების ჩატარება, მათ შორის უცხოეთის ქვეყნების ორგანიზაციებისა და ფირმების ძოზიდვით; გამომგონებლებისა და ახალი ტექნიკის დამმუშავებლებისათვის საკონსულტაციო, საპატენტო, საშუამავლო და საინფორმაციო მომსახურების გაწევა.

3. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო ახორციელებს საინოვაციო ფონდის საქმიანობის კონტროლსა და სამუშაოების ძირითად მიმართულებათა კოორდინაციას, დახმარებას უწევს დასაფინანსებლად წარმოდგენილი მეცნიერული დამუშავების ექსპერტიზაში, მონაცემთა საინფორმაციო ბანკის ფორმირებასა და შევსებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საინოვაციო ფონდი ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს წინაშე.

5. საინოვაციო ფონდის სახსრები იქმნება საინოვაციო ფონდის მონაწილეთა შენატანების, სამინისტროების, უწყებების, ბანკების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების და ცალკეული მოქალაქეების, საზღვარგარეთის ფირმების, საერთაშორისო ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შენატანების, საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური და ფონდის პროფილის შესაბამისი საწარმოო საქმიანობისაგან, საინოვაციო ფონდის მიერ ჩატარებული ღონისძიებებისაგან მიღებული შემოსავლის, ერთობლივ საწარმოებში მონაწილეობისაგან შემოსულობების და სხვა შემოსულობების ხარჯზე, აგრეთვე, საინოვაციო ფონდის მონაწილეობით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული საწარმოს შემოსავლის (მოგების) ნაწილის ხარჯზე, ამ პროდუქციის წარმოებისაგან შემოსავლის მიღების დაწყებიდან სამი წლის განმავლობაში.

6. საინოვაციო ფონდის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საინოვაციო ფონდის საბჭო, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც.

საინოვაციო ფონდის საბჭო ამტკიცებს წესდებას, მასში შეტანილ დამატებებსა და ცვლილებებს, ფონდის შემოსავალ-გასავლის ნუსხას, მოიზიდავს ფონდის ახალ მონაწილეებს, განიხილავს და განსაზღვრავს ფონდის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ახორციელებს კონტროლს მათი რეალიზაციისადმი.

საინოვაციო ფონდის წარმომადგენლებთან ერთად საბჭოში შეიძლება შევიდნენ წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები, თვალსაჩინო გამომგონებლები.

საინოვაციო ფონდის თავმჯდომარეა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი.

საინოვაციო ფონდის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექცია, რომელსაც სათავეში უდგას გენერალური დირექტორი.

საინოვაციო ფონდის გენერალურ დირექტორს ამტკიცებს საინოვაციო ფონდის საბჭო საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის წარდგენით. გენერალური დირექტორი თანამდებობის მიხედვით შედის საბჭოს შემადგენლობაში.

7. საინოვაციო ფონდს უფლება აქვს მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად:

— დამოუკიდებლად დაგეგმოს თავისი საქმიანობა ყველა სახეობის მიხედვით;

— ორგანიზაცია გაუწიოს და ჩაატაროს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საძუშაოები, როგორც დამოუკიდებლად, ისე დაინტერესებული ადგილობრივი და საზღვარგარეთის ორგანიზაციების, საწარმოებისა და ფირმების მონაწილეობით; საჭიროების შემთხვევაში დადგენილი წესით შექმნას მათთან ერთად ფონდის პროფილის შესაბამისი საწარმოები, კომერციული ცენტრები და სხვა ორგანიზაციები მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დადგენილი წესით შექმნას თავისი ფილიალები მეცნიერული მოწყობილობებით, კოლექტიური სარგებლობის ცენტრები და საცდელ-ექსპერიმენტული ბაზები, საწარმოები, ორგანიზაციები, კომერციული ბანკები;

— განახორციელოს მეცნიერულ-ტექნიკური პროექტების არასაუწყებო ექსპერტიზა;

— განახორციელოს რისკის გადიდებული ხარისხიანი მეცნიერულ-ტექნიკური პროექტების დაფინანსება დაბრუნებად ან დაუბრუნებად საფუძველზე; ჩაატაროს მეცნიერულ-ტექნიკური იდეების რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსები, კონკურსში გამარჯვებულ ავტორებს მისცეს შესაბამისი ანაზღაურება;

— გამოაქვეყნოს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ფონდის ფუნქციონირების შესახებ სარეკლამო მასალები, გამოსცეს და გაავრცელოს ჩატარებული კონფერენციების დოკუმენტები, საინოვაციო ფონდის საქმიანობის მიმოხილვები და ოპერატიული საინფორმაციო ბიულეტენები;

— საინოვაციო ფონდის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად განახორციელოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, გამოიყენოს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული მეცნიერულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გაცვლის ფორმები და საშუალებები, მათ შორის უზრუნველყოს საკუთარი სახსრების ხარჯზე ადგილობრივ სპეციალისტთა მივლინება საზღვარგარეთ და უცხოელ სპეციალისტთა მიღება რესპუბლიკაში;

— საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიჰყიდოს, იჯარით ან უსასყიდლოდ სარგებლობისათვის გადასცეს მისი კუთვნილი მასალები და მოწყობილობა;

— დამოუკიდებლად განსაზღვროს საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში, საშუალო ხელფასის დაცვის გარეშე, ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა თანაფარდობის გაუთვალისწინებლად.

8. საინოვაციო ფონდი ახორციელებს მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ურთიერთმოქმედებით.

9. საინოვაციო ფონდის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

189 თბილისის საგვირაბო მშენებლობის სამმართველო „თბილგვირაბმშენის“ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის ფირმა „თბილმეტრომშენად“ გარდაქმნის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის მეტროპოლიტენის ნაგებობებს, დედაქალაქის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გარდა, სამოქალაქო თავდაცვისა და სტრატეგიული დანიშნულება აქვთ და მისი რთული სპეციფიკური ტექნოლოგიური კომპლექსის მშენებლობა სახელმწიფოებრივ ყურადღებას მოითხოვს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

გარდაიქმნას თბილისის საგვირაბო მშენებლობის სამმართველო „თბილგვირაბმშენი“ 1992 წლის 1 იანვრიდან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გამგებლობაში შემავალ სახელმწიფო საწარმოდ — თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სახელმწიფო ფირმა „თბილმეტრომშენად“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 24 ოქტომბერი, № 808

ეროვნული ბიბლიოთეკა

190 წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივებში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

1992 წლის 1 იანვრიდან წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივების საბუღალტრო ანგარიშგების ახალ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ 1992 წლის 1 იანვრიდან წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივები სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში საბუღალტრო ანგარიშგებას წარადგენენ შესაბამისი ბალანსის, ფინანსური შედეგებისა და მათი გამოყენების შესახებ ანგარიშის შემადგენლობით. ამასთანავე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის ადგილობრივ ორგანოებში წარადგენენ სტატისტიკური ანგარიშების № 1 ფორმას „ანგარიში საწარმოს, ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ“.

2. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებულ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით უზრუნველყოს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის გამგეობის დაკვეთით (მისივე ქაღალდის ხარჯზე) საბუღალტრო ანგარიშების ფორმების დასტამბვა და კოოპერატივების მომარაგება პირველადი აღრიცხვის ბლანკებით და საალრიცხვო რეგისტრებით ფასიანი ანაზღაურების წესით. მანვე უზრუნველყოს კოოპერატივების საბუღალტრო სამსახურის მუშაკთა სათანადო ინსტრუქტაჟი საბუღალტრო ანგარიშგების ახალი ფორმების შემოღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია.**

ქ. თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი, № 811

ეროვნული ბიბლიოთეკა

191 „დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე

„დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულებანი:

— „საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესახებ“;

— „საქართველოს რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო ბირჟის შესახებ“;

— „საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის შესახებ“;

— „უმუშევართა შემწეობის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“;

— „საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ“.

2. დაევალოთ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების განცხადებები მუშახელზე მოთხოვნილების გამოქვეყნების თაობაზე მიიღონ მხოლოდ შრომის სახელმწიფო ბირჟის მეშვეობით.

3. უფლება მიეცეს შრომის სახელმწიფო ბირჟას შეიტანოს მოქალაქეთა შრომის წიგნაკში ჩანაწერები მათი უმუშევრობის შრომის სახელმწიფო ბირჟაზე რეგისტრაციის შესახებ.

4. უმუშევარ მოქალაქეთათვის შემწეობის თანხის ოდენობა განისაზღვრება უკანასკნელ ძირითად სამუშაო ადგილზე ბოლო ორ თვეში მიღებული ხელფასის მიხედვით (ყველა სახის პრემიებისა და ერთდროულ დახმარებათა გარეშე).

5. დაევალოთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა (მიუხედავად მათი საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმებისა) ხელმძღვანელებს ხელი შეუწყონ დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის წარმომადგენლებს და შემოწმების პერიოდში დაუბრკოლებლივ დაუშვან ისინი დასაქმების საკითხებთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის შესასწავლად.

6. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც არ შეასრულებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებს დადგენილ ნორმებში სოციალურად დაუცველ მოქალაქეთათვის სამუშაო ადგილების გამოყოფის ან შექმნის შესახებ, ვალდებული არიან დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადარიცხონ 12 თვის ფულადი სახსრები საწარმოში არსებული საშუალო თვიური ხელფასის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ვაკანტური თანამდებობებისა და თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის, ასევე მუშაკთა მიღება-განთავისუფლების შესახებ ცნობების წარმოუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში ვალდებული არიან გადარიცხონ ფულადი სახსრები დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე საშუალო თვიური ხელფასის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ დღეზე გადაანგარიშებით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი **ბ. გუგუშვილი**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
კანცელარიის მმართველი **ა. ლანდია**

ქ. თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი, № 812

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 25 ოქტომბრის
№ 812 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესახებ

დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი (შემდგომში „ფონდი") თავის საქმიანობას წარმართავს „დასაქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის, „დასაქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 25 ივლისის დადგენილების, „მოსახლეობის დასაქმების სოციალური გარანტიების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 10 ივნისის № 474 დადგენილების და ამ დებულების შესაბამისად.

I. ზოგადი დებულებანი

1. დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი არის დამოუკიდებელი საფინანსო სისტემა. ფონდის სახსრები არ შედის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ან რომელიმე სხვა ფონდის შემადგენლობაში და ამოღებას არ ექვემდებარება. ფონდის სახსრები ინახება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის შესაბამის ანგარიშებზე.

2. ფონდი არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი საფინანსო-სამეურნეო ბალანსი და ანგარიშსწორების ანგარიში საქართველოს ეროვნულ ბანკში.

3. ფონდის სახსრები, კომერციული საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლების ჩათვლით, აგრეთვე ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები თავისუფლდება ბიუჯეტში გადასახადისაგან — სახელმწიფო ბეგარის და საბაჟო გადასახადისაგან.

4. ფონდს აქვს ემბლემა და შესაბამისი ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

5. ფონდის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. № 2.

6. ფონდის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

II. ფონდის მმართველობის ორგანოები

1. ფონდის მმართველობის ორგანოებია — გამგეობა და აღმასრულებელი დირექცია.

2. ფონდის მმართველობის უმაღლესი ორგანოა გამგეობა, რომელიც მასზე დაკისრებულ ამოცანებს წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრთა კაბინეტთან, იმ სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფასთან.

3. ფონდის გამგეობაში შედიან საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, აგრეთვე საზოგადოებრივ და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები და ფონდის გენერალური დირექტორი.

4. ფონდის გამგეობის თავმჯდომარე თანამდებობრივად არის საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის მინისტრი

გამგეობის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება 9 კაცით.

5. ფონდის გამგეობა:

— პასუხს აგებს დასაქმების რესპუბლიკური პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების დროული და სრული დაფინანსებისათვის;

— განსაზღვრავს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის პერსპექტიულ და მიმდინარე ამოცანებს;

— ამტკიცებს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცენტრალურ და რეგიონალურ აღმასრულებელ ორგანოთა სტრუქტურას, მუშაკთა რაოდენობას და ხარჯების ნუსხას;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელ დებულებებს და ინსტრუქციებს;

— განსაზღვრავს ფონდის სახსრების კომერციული გამოყენების მიმართულებებს.

6. სხდომას თავმჯდომარეობს ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი მოადგილე. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც. იგი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. სხდომა ფორმდება ოქმით ოფიციალურად და მასზე ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს გამგეობის თავმჯდომარეს, მისი არყოფნის პერიოდში — მოადგილეს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლებით ან გამგეობის წევრთა უბრალო უმრავლესობის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხმები თანაბრად ნაწილდება, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

გამგეობის თავმჯდომარესა და წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, გამგეობის ნებისმიერ წევრს, ან წევრთა ჯგუფს უფლება აქვს საკითხი დასვას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინაშე, სამინისტრო-უწყებათა კოლეგიის წევრთა უფლების ანალოგიურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ფონდის გამგეობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ფუნქციებისა და ფონდის სისტემაში ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისათვის იქმნება ფონდის მუდმივმოქმედი აღმასრულებელი დირექცია.

აღმასრულებელი დირექციის წესდებას და მუშაობის რეგლამენტს განსაზღვრავს ფონდის გამგეობა.

III. ფონდის უფლება-მოვალეობანი

1. ფონდი უფლებამოსილია:

— რეალიზაცია გაუკეთოს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ სოციალურ სფეროში გასატარებელ პოლიტიკას;

— ფონდის გამგეობასთან შეთანხმებით განსაზღვროს ფონდის სახსრების ხარჯვის მიმართულებანი;

— საქართველოს რესპუბლიკის და საზღვარგარეთის მოქალაქეებისაგან, საწარმოებისა და დაწესებულებებისაგან მიიღოს შემოწირულებანი;

— კომერციული საქმიანობის უზრუნველსაყოფად მონაწილეობა მიიღოს დადგენილი წესით ახალი საწარმოების შექმნასა და მოქმედი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში;

— დადგენილი წესით მიიღოს კრედიტები;

— რეკლამა გაუწიოს საკუთარ საქმიანობას როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

— დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გამგეობას წარუდგინოს დასამტკიცებლად ფონდის ცენტრალური და რეგიონალური აღმასრულებელი ორგანოების საშტატო განრიგები და დანახარჯთა ნუსხები.

2. ფონდი ვალდებულია;

— უზრუნველყოს, უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემის წესისა და პირობების შესაბამისად, სახსრების დროული და სრული გადახდა;

— მიაწოდოს საზოგადოებას სათანადო ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ.

IV. ფონდის სახსრები

1. ფონდის სახსრების წყაროებია:

— საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოოპერატივების (მეურნეობრიობის, საკუთრების ფორმებისა და დაქვემდებარების მიუხედავად) სავალდებულო ანარიცხები. სავალდებულო ანარიცხების კონკრეტული ზომა განისაზღვრება რესპუბლიკის კანონმდებლობით;

— საწარმოთა მიზნობრივი საფინანსო ანარიცხები იმ პირთათვის სპეციალიზებული სამუშაო ადგილების შექმნის კვოტის შეუსრულებლობისას, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ სოციალურ დაცვას;

— საწარმოთა დამატებითი შენატანები მომუშავეთა მასობრივი გამოთავისუფლების შემთხვევაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოქალაქეთა საზღვარგარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებით დასაქმების ფონდში შემოსული თანხები;

— საქართველოს და საზღვარგარეთის საწარმოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შენატანები, შემოწირულებანი, აგრეთვე უცხოური ვალუტა;

—კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

2. ფონდის სახსრების აკუმულაციისა და გამოყენების მიზნით საქართველოს ეროვნულ ბანკში და დასაქმების ფონდის რეგიონალური ფილიალების მომსახურე რაიონულ საბანკო განყოფილებებში იხსნება ანგარიშები, ხოლო საკუთარი ბანკის შექმნის შემთხვევაში მომსახურება იწარმოებს ამ ბანკის მიერ.

ფონდის ანგარიშების მიხედვით ოპერაციების განხორციელების წესი დგინდება საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს შორის ურთიერთშეთანხმების გზით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

3. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კოოპერატივების მიერ დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესაბამის ანგარიშზე სავალდებულო და მიზნობრივი ანარიცხების შეტანის, აგრეთვე რესპუბლიკის და უცხოეთის საწარმოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა შენატანების ჩარიცხვისა და აღრიცხვის წესს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

4. ფონდში სავალდებულო ანარიცხების სახსრების დროულად და სრულად შემოსვლას აკონტროლებენ დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის აღმასრულებელი დირექციის მაკონტროლებელი ორგანოები დასაქმების სახელმწიფო ინსპექციებთან და საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს შრომის სახელმწიფო ინსპექციასთან ერთად.

V. ფონდში სახსრების აკუმულაციისა და ხარჯვის პროგნოზირება

1. ფონდში სახსრების აკუმულაციისა და ხარჯვის პროგნოზირება ყოველი საპროექტო წლისათვის ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის შედგენის წინმსწრები ტემპით, ფონდის ხარჯების შემოსავლისათვის გადამეტების შემთხვევაში რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში დასაქმების ღონისძიებათა განსახორციელებლად დამატებითი სახსრების გათვალისწინების მიზნით.

ფონდის სახსრების ხარჯვა წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ განსაზღვრული დასაქმების პროგრამების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდის შემოსავალ-გასავალს, შესრულების ანგარიშსა და რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსების ოდენობას განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

2. ფონდის განყოფილებათა სახსრების აკუმულაციისა და ხარჯვის პროგნოზებს განიხილავს და ამტკიცებს ფონდის გამგეობა.

VI. ფონდის ამოცანები

1. ფონდი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ შემუშავებული და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მოწონებული დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ღონისძიებათა დაფინანსების მიზნით.

2. ფონდის ძირითადი ამოცანებია:

— დაუსაქმებელი მოსახლეობის დახმარებასთან დაკავშირებული დანახარჯების დაფინანსება;

— მოქალაქეთა შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო დახმარებაზე გაწეული დანახარჯების დაფინანსება;

— გამოთავისუფლებული მუშაკების და დაუსაქმებელი მოქალაქეების პროფესიული ორიენტაციის, პროფესიული მომზადების და გადამზადების სამუშაოების ორგანიზაციისა და გატარებისათვის გაწეული დანახარჯების დაფინანსება;

— უმუშევრებისათვის შემწეობების გაცემა;

— დროებითი სამუშაოების ორგანიზაციისათვის გაწეული დანახარჯების დაფინანსება;

— დასაქმების სახელმწიფო სამსახურის სისტემის შენახვა;

— საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების სფეროს მომსახურე კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა დაფინანსება;

— თვითდაფინანსების პრინციპების საფუძვლებზე ფონდის სახსრების გაფართოებული კვლავწარმოება;

— დასაქმების რესპუბლიკური და რეგიონალური პროგრამების დაფინანსება;

— მოსახლეობის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტაში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება.

VII. ფონდის სამართლებრივი დებულება

ფონდის მოქმედების შეწყვეტის და მის განკარგულებაში არსებული ფულადი და მატერიალური სახსრების შემდგომი გამოყენების საკითხი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 25 ოქტომბრის
№ 812 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო ბირჟის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული შრომის სახელმწიფო ბირჟა (შემდგომში „ბირჟა") არის დასაქმების სახელმწიფო სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც დაეხმარება საქართველოს რესპუბლიკის უმუშევარ მოქალაქეს სამუშაოზე მოწყობასა და სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფაში.

ბირჟის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

2. ბირჟა მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

ბირჟის შემადგენლობაში შედიან:

ბირჟის ცენტრალური აპარატი, შრომის რეგიონალური ბირჟები და მათი ადგილობრივი წარმომადგენლები ქალაქებსა და რაიონებში;

დასაქმების სახელმწიფო ინსპექცია.

3. ბირჟის ცენტრალური და რეგიონალური ორგანოებისა და დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის მუშაკთა რაოდენობას და ხარჯთა ნუსხას, შრომის ანაზღაურების ფონდის ჩათვლით, შემდგომ ცვლილებათა გათვალისწინებით განიხილავს დასაქმების ფონდის გამგეობა და დასამტკიცებლად წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროში.

4. ბირჟა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონით დასაქმების შესახებ, შრომის კანონმდებლობით, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს აქტებით და ამ დებულებით.

5. რესპუბლიკის დონეზე ბირჟის მუშაობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო, რეგიონალურ დონეზე — ბირჟა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — ამ რესპუბლიკების შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი* და ბირჟა, ქალაქებსა და რაიონებში — შესაბამისი რეგიონალური ბირჟა და პრეფექტურა.

6. ბირჟის შემადგენლობაში იქმნება დასაქმების სახელმწიფო ინსპექცია. დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს შრომის სახელმწიფო ინსპექცია. დასაქმების სახელ-

---

*. შემდგომში ამ ორგანოთა შესაბამისი სამინისტროები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო ინსპექციის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

II. ბირჟის უფლება-მოვალეობანი

1. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციას აწარმოებს ბირჟა. იგი შრომის რეგიონალური ბირჟებისა და მათი საქალაქო, რაიონული წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას.

2. ბირჟის ძირითადი მოვალეობაა:

— დასაქმების რეგიონალური და რესპუბლიკური პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და მისი პრაქტიკულად რეალიზაცია;

— უმუშევართა და თავისუფალი (ვაკანტური) სამუშაო ადგილების აღრიცხვა;

— დახმარების აღმოჩენა მოქალაქეთათვის შესაფერისი სამუშაოს, ხოლო მეწარმეთათვის შესაფერისი მუშაკების შერჩევაში როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ;

— დახმარების აღმოჩენა იმ მოქალაქისათვის, რომელიც გამოთქვამს სურვილს სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ შეისწავლოს ახალი პროფესია;

— დახმარების აღმოჩენა იმ მოქალაქისათვის, სამუშაოზე მოწყობაში (შეცვლაში), რომელიც არ ექვემდებარება უმუშევრის სტატუსის მინიჭებას და შემწეობის მიღებას;

— დასაქმების საკითხებზე მოსახლეობისა და მეწარმეთა სრული ოპერატიული ინფორმირების მიზნით შესაბამისი მონაცემების ავტომატიზებული ბანკის შექმნა;

— რესპუბლიკური საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით ბირჟის სამსახურების ავტომატიზაცია, კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა;

— საინფორმაციო ბიულეტენის, გაზეთის, ბროშურის გამოცემა;

— უმუშევრის პირველადი პროფკონსულტაცია და, პროფესიებზე მოთხოვნილების საკოორდინაციო ცენტრის დაკვეთით მომზადებისა და გადამზადების მიზნით, მისი გაგზავნა დასაქმების სახელმწიფო სისტემაში არსებული პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სასწავლო-საწარმოო ცენტრებში, აგრეთვე ხელშეკრულებით სხვა სასწავლო დაწესებულებებში დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდით გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე;

— დროებითი სამუშაოების ორგანიზაცია პრეფექტურებთან ერთად;

— უმუშევრისათვის შემწეობის გაცემა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან;

— საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ინსპექტირება დასაქმების შესახებ კანონის შესაბამისად;

— დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გამგეობისათვის წინადადებათა წარდგენა დასაქმების სფეროს გაზრდის მიზნით ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თაობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გამგეობის საქმიანობაში მონაწილეობა.

3. შრომის სახელმწიფო ბირჟა უფლებამოსილია:

— მოითხოვოს ნებისმიერი საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან (მათი საკუთრების ფორმისა და მეურნეობრიობის მიუხედავად) ინფორმაციები მოსალოდნელი სტრუქტურული ცვლილებებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს მუშაკთა განთავისუფლება, ასევე ცხობები თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანტური თანამდებობების) და მუშაკთა მიღება-განთავისუფლების თაობაზე;

— გაგზავნოს ყველა სახის საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, იქ არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილების დასაკავებლად (ვაკანტურ თანამდებობაზე) შრომის ბირჟაზე რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი მოქალაქე მისი კვალიფიკაციის დონისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად;

— განახორციელოს კონტროლი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ დაბალკონკურენტუნარიანი, სოციალურად ნაკლებად დაცულ მოქალაქეთა (ინვალიდები, ახალგაზრდები, მრავალშვილიანი მშობლები, სასჯელის აღმასრულებელი ან იძულებითი მკურნალობის დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირები) დასაქმებისათვის დადგენილი სპეციალური დამატებითი სამუშაო ადგილების რაოდენობის დაცვისადმი;

— საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გამოუწეროს საგზური მოქალაქეებს სამუშაოდ გაგზავნისას სხვა საცხოვრებელ ადგილზე (აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარი პროფესიული მომზადებით) სამუშაოდ მოწყობის შემთხვევაში ამ მოქალაქეს ბირჟა დასაქმების ფონდიდან უხდის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო გაწეულ ხარჯებს;

— გაგზავნოს უმუშევარი მისთვის შესაფერის დროებით სამუშაოზე;

— მიიღოს გადაწყვეტილება უმუშევრობის სტატუსის მქონე მოქალაქისათვის შემწეობის გაცემის შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე;

— დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის მეშვეობით გააკონტროლოს რესპუბლიკის ნებისმიერი საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, კოოპერატივი (განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა და მეურნეობრიობისა) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით;

— მოიწვიოს დადგენილი წესით კონფერენციები, თათბირები, ჩაატაროს სემინარები, მოაწყოს გამოფენები, სტენდები, თვალსაჩინოებანი მოსახლეობის დასაქმების პრობლემებთან დაკავშირებით;

— მოამზადოს საკითხები და წარუდგინოს განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს კოლეგიის სხდომას;

— წარუდგინოს წინადადებანი დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გამგეობას კომერციული საქმიანობის ფონდის სახსრების კვლავწარმოების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აღძრას საკითხი შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს წინაშე ამა თუ იმ საწარმოსათვის, ორგანიზაციასა და დაწესებულებისათვის დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო გადასახადის გაზრდის ან შემცირების შესახებ;

— დასვას საკითხი დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გამგეობის წინაშე ბირჟის საჭიროებისათვის დამატებითი სახსრების გამოყოფის თაობაზე;

— განახორციელოს იმ კომერციული ფირმებისათვის სერთიფიკატის გაცემა, რომლებიც მოქალაქეთა სამუშაოზე მოწყობის (მათ შორის საზღვარგარეთ), პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ფასიან მომსახურებას ეწევიან.

III. ბირჟის ურთიერთობა დასაქმების სახელმწიფო სამსახურთან

1. ბირჟა თავის მუშაობას წარმართავს შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს უშუალო ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებულია მის წინაშე, ყოველკვარტალურად წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო ბირჟის წარდგინებით:

— ამტკიცებს მოქალაქეთა, ორგანიზაციათა განსაკუთრებული დაკვეთების ნუსხას და გაწეული საქმიანობის საფასურის გადახდის წესს;

— განიხილავს ბირჟის მიერ აღძრულ საკითხს დასაქმების სფეროში კომერციულ საქმიანობაზე ლიცენზიების გაცემის თაობაზე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

— განიხილავს და ამტკიცებს დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის უფროსისა და შრომის რეგიონალური ბირჟის დირექტორის კანდიდატურებს;

2. ბირჟა განსახილველად წარუდგენს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გამგეობას:

— ბირჟის ცენტრალური და რეგიონალური ორგანოების, დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის ხარჯთა ნუსხას (შრომის ანაზღაურების ფონდის ჩათვლით);

— უმუშევრის სტატუსის მქონე მოქალაქისათვის შემწეობის გაცემის საკითხებს;

— წინადადებას უმუშევარ მოქალაქეთა დასაქმების მიზნით ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ;

— ფინანსურ ანგარიშს ყოველკვარტალურად.

დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარევიზიო კომისია ახორციელებს კონტროლს შრომის სახელმწიფო ბირჟის მიერ დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისადმი.

3. ბირჟა:

პროფესიებზე მოთხოვნით მომზადებისა და გადამზადების ცენტრს სისტემატურად წარუდგენს თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანტური თანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებობის) ნუსხას არსებული სამუშაო ბაზრის ანალიზისა და პროგნოზირებისათვის;

აწარმოებს რეგისტრირებული უმუშევარი მოქალაქეების შერჩევას მათი შემდგომი მომზადება-გადამზადებისათვის საკოორდინაციო ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად.

4. შრომის რეგიონალური ბირჟები მუშაობას წარმართავენ ბირჟის უშუალო ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებული არიან მის წინაშე. ყოველკვარტალურად წარუდგენენ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. მათ ორგანიზაციულ სტრუქტურას, საშტატო ერთეულების რაოდენობას, ხარჯთა ნუსხას (შრომის ანაზღაურების ფონდის ჩათვლით) ამტკიცებს შრომის სახელმწიფო ბირჟა;

ბირჟას სისტემატურად წარუდგენენ ინფორმაციას თავისუფალი სამუშაო (ვაკანტური) ადგილებისა და უმუშევარ მოქალაქეთა შესახებ.

5. ბირჟას აფინანსებს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯთა ნუსხის შესაბამისად.

6. ბირჟას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს წარდგინებით.

7. შრომის რეგიონალური ბირჟების დირექტორებს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო შრომის სახელმწიფო ბირჟის წარდგინებით.

8. ბირჟის გენერალური დირექტორი პერსონალურად პასუხისმგებელია ბირჟისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის, განსაზღვრავს ბირჟის თანამშრომლების უფლება-მოვალეობებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, განაგებს ბირჟის სახსრებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

9. ბირჯა იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში, მრგვალი ბეჭედი და შტამპი.

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 25 ოქტომბრის
№ 812 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. დასაქმების სახელმწიფო ინსპექცია (შემდგომში „ინსპექცია") იქმნება რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო ბირჟის შემადგენლობაში, რომელიც ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მათი საკუთრების და მეურნეობრიობის ფორმის მიუხედავად) მოქალაქეთა დასაქმების უფლებათა დაცვის კონტროლს.

ინსპექციის საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს შრომის სახელმწიფო ინსპექცია.

თავის საქმიანობაში ინსპექცია ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონით დასაქმების შესახებ, მისგან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

2. ინსპექცია უფლებამოსილია დაუბრკოლებლად შევიდეს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ნებისმიერ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მოითხოვოს მათგან საჭირო ცნობები, ინფორმაციები და საანგარიშო მონაცემები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქალაქეთა დასაქმების უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

3. ინსპექციის ძირითადი ამოცანებია:

— მოქალაქეთა შრომის უფლებებისა და გარანტიების დასაცავად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის დასაქმების შესახებ კანონმდებლობათა დარღვევების აცილება და აღმოფხვრა;

ა. განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დასაქმების კანონმდებლობის დაცვისადმი;

ბ. გააკონტროლოს იმ კომერციული ბირჟების, სააგენტოების და სხვა ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც მოქალაქეთა ფასიან მომსახურებას ეწევიან დასაქმების სფეროში.

გ. განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექციასთან (საჭიროების შემთხვევაში საფინანსო ორგანოებთან) ერთად საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების შესაბამისად ყოველთვიური სავალდებულო შენატანების დროული ჩარიცხვის უზრუნველსაყოფად;

დ. შეისწავლოს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის პირობები, საჭირო შემთხვევაში აღძრას საკითხი შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს ინსპექციის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ინსპექცია მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. მის შემადგენლობაში შედის: აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და რეგიონალური ბირჟების შემადგენლობაში შემავალი ინსპექციები.

5. შრომის სახელმწიფო ბირჟის დასაქმების ინსპექციის უფროსს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი შრომის სახელმწიფო ბირჟის გენერალური დირექტორის წარდგინებით და შრომის სახელმწიფო ინსპექციასთან შეთანხმებით;

აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინსპექციების უფროსებს ნიშნავს და ათავისუფლებს შრომის რეგიონალური ბირჟის დირექტორი ავტონომიური რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო ორგანოს, შრომის სახელმწიფო ბირჟისა და შრომის სახელმწიფო ინსპექციის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

6. ინსპექცია:

ა) აკონტროლებს:

— რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მოქალაქეთა დასაქმების უფლებათა დაცვას რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე იმ ძირითადი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც გათვალისწინებულია მოსახლეობის დასაქმების რესპუბლიკური პროგრამებით;

— საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შრომის ბირჟებისათვის დადგენილ ვადებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით ობიექტური და ხარისხიანი ინფორმაციების წარდგენას (თავისუფალი სამუშაო ადგილები, ვაკანტური თანამდებობები, მოქალაქეთა მიღება, განთავისუფლება და სხვა საკითხები);

— საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ დამატებითი სამუშაო ადგილების გამოყოფისა და შექმნის (კვოტის) უზრუნველყოფას იმ დაბალკონკურენტუნარიან მოქალაქეთა მიღებისათვის, რომლებიც განიცდიან სიძნელეებს სამუშაოს ძებნაში და საჭიროებენ განსაკუთრებულ სოციალურ დაცვას (18 წლამდე ახალგაზრდები, ინვალიდები, მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლები, რომლებიც ზრდიან 14 წლამდე ასაკის ან ინვალიდ ბავშვებს, წინასაპენსიო ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჰქონდათ სამუშაო, სასჯელის აღმასრულებელი ან იძულებითი მკურნალობის დაწესებულებებიდან განთავისუფლებული პირები);

— საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ მოქალაქეთა დასაქმებისა და შრომის უფლებათა კანონმდებლობის დაცვის საკითხების გადაწყვეტას;

— დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექციასთან (საჭიროების შემთხვევაში საფინანსო ორგანოებთან) ერთად — რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანი-

ზაციების მიერ რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი ვადებისა და ოდენობის დაცვით სავალდებულო ანარიცხების დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში ჩარიცხვის მდგომარეობას;

— შრომის ბირჟის მუშაკების მიერ უმუშევართათვის შემწეობის დანიშვნის პირობებს, მისი გაცემის ვადების დაცვის კანონიერებას დადგენილი წესის შესაბამისად;

— დროებით სამუშაოებზე უმუშევართა მიღებისა და დასაქმების კანონიერებას;

— რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ იმ კომერციული ბირჟების, სააგენტოებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც მოსახლეობის ფასიან მომსახურებას ეწევიან დასაქმების სფეროში;

ბ) უზრუნველყოფს დასაქმების საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების დროულად და ეფექტიანად განხილვას, აანალიზებს და განაზოგადებს მათში აღნიშნულ საკითხებს.

7. შრომის სახელმწიფო ბირჟას ინსპექციის მასალებზე დაყრდნობით უფლება აქვს:

ა) შეაჩეროს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანების, განკარგულების ან სხვა გადაწყვეტილების მოქმედება, თუ ის ეწინააღმდეგება დასაქმების კანონმდებლობას, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე შეიტანოს წინადადება საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომ ორგანოში და შესაბამის პრეფექტურაში ამ გადაწყვეტილების გასაუქმებლად;

ბ) რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ დამტკიცებული აქტით დააჯარიმოს თანამდებობის პირი ან სხვა მუშაკი, რომელმაც დაარღვია კანონმდებლობა დასაქმების შესახებ;

გ) დააყენოს საკითხი საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს წინაშე იმ კომერციული ბირჟების სააგენტოებისა და სხვა ორგანიზაციების მოქმედების შეჩერების შესახებ, რომლებიც ეწევიან მოქალაქეთა ფასიან მომსახურებას დასაქმების სფეროში და რომელთა საქმიანობა ეწინააღმდეგება მოსახლეობის დასაქმების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

8. ინსპექცია ვალდებულია ყოველკვარტალურად მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს შრომის სახელმწიფო ინსპექციას გაწეული მუშაობის შესახებ.

9. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ ინსპექციის ინსპექტორის გადაწყვეტილება რეგიონალური ბირჟისა და ინსპექციის ხელმძღვანელობასთან, აგრეთვე შრომის სახელმწიფო ინსპექციასა და სახალხო სასამართლოში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 25 ოქტომბრის
№ 812 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

უმუშევართათვის შემწეობის გაცემის წესისა და პირობების შესახებ

ეს დებულება განსაზღვრავს უმუშევართათვის შემწეობის გაცემის ერთიან წესსა და პირობებს საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

1. იმ მოქალაქის რეგისტრაცია, რომელიც ეძებს სამუშაოს, ხორციელდება შრომის რეგიონალური ბირჟისა და მისი საქალაქო (რაიონული) წარმომადგენლების მეშვეობით (შემდგომში „შრომის ბირჟა“).

რეგისტრაციას ექვემდებარება შრომისუნარიანი ასაკის ის შრომისუნარიანი მოქალაქე (ეს ასაკი ქალებისათვის 16-55 წელია, მამაკაცებისათვის 16-60 წელი), რომელსაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (საწარმოს ლიკვიდაცია, შტატების შემცირება, რეორგანიზაცია) არა აქვს სამუშაო და შესაბამისი ხელფასი (შრომითი შემოსავალი), ეძებს სამუშაოს და შრომის ბირჟა ვერ სთავაზობს მას შესაფერის სამუშაოს.

2. შესაფერის სამუშაოდ ჩაითვლება:

— სამუშაო, რომელიც შეესაბამება მის პროფესიულ მომზადებას, ასაკს, სქესს, შრომის სტაჟს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, მოსახერხებელია საბინაო-საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო თვალსაზრისით; საჭიროებს პროფესიის (სპეციალობის) შეცვლას, ითვალისწინებს მოქალაქის ასაკს, სქესს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, შრომის სტაჟს და შრომის კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს;

— ნებისმიერი ანაზღაურებადი (მათ შორის დროებითიც) სამუშაო იმ პირისათვის, რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს და არ აქვს პროფესია (სპეციალობა) და რომელიც ითვალისწინებს მოქალაქის ასაკს და სხვა მონაცემებს საჭიროებს წინასწარ პროფესიულ მომზადებას.

საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მათი სახელით ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მოქალაქეების სხვა საცხოვრებელ ადგილზე სამუშაოზე მოწყობის (აუცილებლობის შემთხვევაში — წინასწარი პროფესიული მომზადებით) თაობაზე. ამ მოქალაქეს დასაქმების ფონდიდან შრომის ბირჟა უხდის საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს.

3. უმუშევარმა შეიძლება უარი თქვას სამუშაოზე, რომელიც:

— დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან;

— თავისი შრომის პირობებით არ შეესაბამება შრომის დაცვის ნორმებსა და წესებს;

— ითვალისწინებს მოქალაქის ბოლო სამუშაო ადგილის საშუალო თვიური ხელფასის 90 პროცენტზე ნაკლებ ხელფასს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მოქალაქის რეგისტრაცია და აღრიცხვა წარმოებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რისთვისაც მან უნდა წარმოადგინოს პასპორტი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, შრომის წიგნაკი, ცნობა წინა სამუშაო ადგილიდან საშუალო თვიური ხელფასის შესახებ (საშუალო თვიური ხელფასის გაანგარიშების შესახებ დადგენილი წესით), საკრებულოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა სხვა ფულადი შემოსავლების შესახებ, განათლების ან სპეციალობის დამადასტურებელი საბუთი;

მოქალაქე, რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს და არა აქვს შრომის წიგნაკი, წარადგენს პასპორტს, განათლების, პროფესიული მომზადების დამადასტურებელ დიპლომს ან სხვა საბუთს, ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან. სამუშაოზე მოწყობის შემდეგ ადმინისტრაცია გასცემს შრომის წიგნაკს დადგენილი წესით, შრომის ბირჟის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული მოქალაქე დამატებით წარადგენს სამხედრო ბილეთს, ხოლო სასჯელის აღმასრულებელი ან იძულებითი მკურნალობის დაწესებულებიდან განთავისუფლებული — ცნობას განთავისუფლების შესახებ.

5. მოქალაქეს, რომელიც როგორც უმუშევარი რეგისტრირებულია შრომის რეგიონალურ ბირჟაზე, რეგისტრაციის დღიდან ერიცხება შემწეობა უმუშევრობისათვის.

გადაწყვეტილებას მოქალაქისათვის უმუშევრის სტატუსის მინიჭების შესახებ იღებს შრომის რეგიონალური ბირჟა;

უმუშევრის სტატუსის მქონე მოქალაქეს, იმ პერიოდის შესახებ, რა პერიოდშიც ის იღებს შემწეობას უმუშევრობისათვის, შრომის წიგნაკში უკეთდება შესაბამისი ჩანაწერი შრომის ბირჟის პასუხისმგებელი მუშაკის მიერ;

შემწეობის მიღების პერიოდი მოქალაქეს ეთვლება შრომის საერთო და უწყვეტ სტაჟად.

6. უმუშევრის სტატუსი არ მიენიჭება და შესაბამისად არ მიეცემა შემწეობა მოქალაქეს:

ა) რომელიც სწავლობს დღის სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში;

ბ) რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების და სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ 6 თვის განმავლობაში როგორც სამუშაოს მაძიებელი არ არის რეგისტრირებული შრომის ბირჟაზე;

გ) რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს, არა აქვს პროფესია (სპეციალობა) და თუ უარს აცხადებს ნებისმიერ ანაზღაურებად სამუშაოზე (მათ შორის დროებითი ხასიათის სამუშაოზე) ან უარს აცხადებს გაიაროს პროფესიული მომზადება;

დ) რომელიც უარს აცხადებს ორ შეთავაზებულ შესაფერის სამუშაოზე ან ასეთივე შესაფერის სამუშაოზე პროფესიული მომზადების გავლის შემდეგ, სადაც გაიგზავნა შრომის ბირჟის მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) რომელიც უარს აცხადებს გამოთავისუფლების დღიდან 6 თვის შემდეგ კანონის შესაბამისად მისთვის შერჩეულ შესაფერის პროფესიულ მომზადებაზე ან ხელახალ მომზადებაზე;

ვ) რომელიც სამუშაოდან განთავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე და არა აქვს ამის საპატიო მიზეზი (საპატიო მიზეზად ჩაითვლება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ავადმყოფის მოვლა ან საცხოვრებლად სხვა დასახლებულ პუნქტში გადასვლა), ან განთავისუფლდა შრომის დისციპლინის დარღვევის გამო;

ზ) რომელიც სამუშაოდან განთავისუფლდა ბირჟაზე მოსვლის დღიდან ერთ წელზე მეტი ხნის წინათ;

თ) რომელიც დადგენილი წესით ღებულობს პენსიას;

ი) რომელსაც აქვს რესპუბლიკაში დადგენილ მინიმალურ ხელფასზე მეტი ფულადი შემოსავალი (საკარმიდამო ნაკვეთიდან, ინდივიდუალური საქმიანობით);

ზემოთ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულ იქნებიან როგორც სამუშაოს მაძიებელნი.

7. შრომის ბირჟაზე რეგისტრირებული მოქალაქე, რომელსაც მინიჭებული აქვს უმუშევრის სტატუსი, ვალდებულია ხელი შეუწყოს ბირჟის მუშაკებს თავის დროულად დასაქმებაში, დაემორჩილოს ამ საკითხებთან დაკავშირებით შრომის ბირჟაზე დადგენილ წესებს. ეს მოქალაქე ვალდებულია ორ კვირაში ერთხელ მისთვის მოსახერხებელი ფორმით აცნობოს შრომის ბირჟას თავისი საქმიანობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ ვადებში არასაპატიო მიზეზით ინფორმაციის მიუწოდებლობის პირველ შემთხვევაში იგი გაფრთხილებული იქნება, ხოლო განმეორების შემთხვევაში მას მოეხსნება უმუშევრის სტატუსი და შეუწყდება შემწეობის მიცემა.

8. დაუშვებელია შრომის ბირჟის ინიციატივით უმუშევრის გაგზავნა კომერციულ ორგანიზაციებში, რომლებიც მოქალაქეთა სამუშაოზე მოწყობის, პროფესიული მომზადებისა და ხელახლა მომზადების ფასიან მომსახურებას ეწევიან.

9. უმუშევრის სტატუსის მქონე მოქალაქისათვის შემწეობის გაცემა ხდება მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემნახველი ბანკის მიერ, სადაც თვეში ერთხელ გადაირიცხება უმუშევრის კუთვნილი შემწეობის თანხა მისი მეანაბრის წიგნაკის ანგარიშზე. ამისათვის მოქალაქე უმუშევრად რეგისტრაციის შემდეგ სამი დღის ვადაში წარუდგენს შრომის ბირჟას შემნახველი ბანკის მეანაბრის წიგნაკს;

შრომის ბირჟა უმუშევრის რეგისტრაციის დღიდან თვის ბოლომდე დღეების რაოდენობის მიხედვით ახორციელებს შემწეობის გადარიცხვას მეანაბრის ანგარიშზე შესაბამის შემნახველ ბანკში. (მაგალითად, თუ მოქალაქე რეგისტრირებულ იქნა შრომის ბირჟაზე, როგორც უმუშევარი 10 ივლისს, მისი კუთვნილი შემწეობის თანხა 10 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით დღეების გაანგარიშებით გადაირიცხება მეანაბრის ანგარიშზე 15 აგვისტომდე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმუშევრობისათვის შემწეობა გაიცემა კვირის 6 დღეზე (კვირის და უქმე დღეების გათვალისწინება არ ხდება).

10. უმუშევრობისათვის შემწეობის ოდენობა და მისი გაცემის ვადები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების კანონით.

გამოთავისუფლებულ მუშაკს შემწეობა ეძლევა გამოთავისუფლების დღიდან 12 თვის განმავლობაში შრომის ბირჟაზე უმუშევრად მისი რეგისტრაციის დღიდან. მაგალითად, თუ მოქალაქეს ჰქონდა საშუალო ხელფასი 800 მანეთი, პირველი სამი თვის განმავლობაში უმუშევარი ყოველთვიურად მიიღებს შემწეობას უკანასკნელ ძირითად სამუშაოზე მიღებული საშუალო ხელფასის ოდენობით, ე. ი. 800 მანეთს. ამ თანხას გაიღებს ის ორგანიზაცია, სადაც მოხდა მუშაკის გამოთავისუფლება. ამისათვის საჭიროა, რომ უმუშევარი როგორც სამუშაოს მაძიებელი, შრომის ბირჟაზე გატარდეს რეგისტრაციაში და მიენიჭოს უმუშევრის სტატუსი. პირველი სამი თვის განმავლობაში უმუშევარს შემწეობა მიეცემა შრომის ბირჟის მიერ ყოველთვიურად გაცემული შესაბამისი ცნობის საფუძველზე.

შემდგომი 9 თვის განმავლობაში შემწეობას გასცემს შრომის ბირჟა: მეოთხე-მეექვსე თვის განმავლობაში მისი საშუალო ხელფასის 70 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობისა, ე. ი. 390 მანეთისა.

მეშვიდე-მეცხრე თვის განმავლობაში — საშუალო ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგი რაოდენობისა, ე. ი. 260 მანეთისა.

მეათე-მეთორმეტე თვის განმავლობაში რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ოდენობით, ე. ი. 130 მანეთს გასცემს ყოველთვიურად.

იმ შემთხვევაში, როდესაც უმუშევრის საშუალო ხელფასის 70-50 პროცენტი რესპუბლიკაში დადგენილ მინიმალურ ხელფასზე ნაკლებია. შემწეობა გაიცემა მინიმალური ხელფასის ოდენობით, ე. ი. 130 მანეთი.

მოქალაქეს, რომელიც დაიგვიანებს რეგისტრაციაში გატარებას, დააკლდება აღნიშნული დღეების ანაზღაურება წლიურ ჭრილში. მაგალითად, თუ მოქალაქე გამოთავისუფლდა ბოლო სამუშაო ადგილიდან 1 სექტემბერს, ხოლო ბირჟაზე რეგისტრირებული იქნა უმუშევრის სტატუსით მხოლოდ მიმდინარე წლის 1 თებერვალს, ის შემწეობას მიიღებს 7 თვის განმავლობაში 1 თებერვლიდან 1 სექტემბრამდე, ამასთან მას შემწეობა განესაზღვრება უმუშევრობისა მეექვსე თვისათვის დასაქმების კანონით დადგენილი ოდენობით, ე. ი. უკანასკნელ ძირითად სამუშაო ადგილზე მიღებული საშუალო ხელფასის 70 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი სამმაგი მინიმალური ხელფასისა და არანაკლებ დადგენილი მინიმალური ხელფასისა.

მოქალაქემ, რომელმაც დაამთავრა საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებელი, გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური და 6 თვის განმავლობაში რეგისტრირებულ იქნა შრომის ბირჟაზე უმუშევრის სტატუსით, შემწეობას მიიღებს რეგისტრაციის დღიდან ერთი წლის განმავლობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმუშევარ მოქალაქეს შემწეობა უწყდება დასაქმების დღიდან.

11. უმუშევარს შემწეობის გაცემა ვადაზე ადრე შეუწყდება, თუ მან:

ა) უარი განაცხადა ორ შეთავაზებულ შესაფერის სამუშაოზე;

ბ) არ შეატყობინა შრომის ბირჟას იმის შესახებ, რომ დასაქმებულია დროებით სამუშაოზე;

გ) უარი განაცხადა ორ შესაფერის სამუშაოზე პროფესიული მომზადების დამთავრების შემდეგ, სადაც გაგზავნილი იყო შრომის ბირჟის მიერ;

დ) არ შეასრულა ამ დებულების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ე) შემწეობის მიღებას მიაღწია მოტყუების გზით. ამ მოტივით შემწეობის შეწყვეტა ითვალისწინებს უკანონოდ მიღებული თანხის ამოღებას ნებაყოფლობის წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხი გადაეცემა სასამართლოს მისი იძულებით ამოღების მიზნით.

12. იმ უმუშევარს, რომელსაც დროებით სამუშაოზე დაასაქმებენ, უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემა დროებით შეუჩერდება იმ ვადით, რამდენ ხანსაც იმუშავებს ამ სამუშაოზე შემწეობისათვის განკუთვნილ 12-თვიან პერიოდში. მაგალითად, თუ მოქალაქეს შემწეობის მიღების პერიოდში განესაზღვრება 1 ივლისიდან და დროებით სამუშაოზე დაჰყო 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე, მას შემწეობა არ მიეცემა დასახელებული 3 თვის განმავლობაში და აღუდგება მომავალი წლის 1 იანვრიდან იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია დასაქმების კანონით მეშვიდე თვიდან, ე. ი. საშუალო ხელფასის 50 პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგი ოდენობისა.

13. უმუშევრის სტატუსის მქონე მოქალაქეს შრომისუუნარობის შემთხვევაში (მათ შორის ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის) ეძლევა ავადმყოფობის ფურცელი, რომელსაც გასცემს სამედიცინო დაწესებულება. აღნიშნულ ავადმყოფობის ფურცელს უმუშევარი წარადგენს შრომის ბირჟაზე, რის საფუძველზეც მას უხანგრძლივდება შემწეობის მიღების ვადა შრომისუუნარობის დღეების ოდენობით. მაგალითად, თუ უმუშევრის სტატუსის მქონე მუშაკი ავადმყოფობდა 10 დღის განმავლობაში, იგი ამ დღეების ანაზღაურებას მიიღებს ბიულეტენის საფუძველზე სოცდაზღვევის ორგანოებში, ხოლო ამავე დღეების რაოდენობით გაუხანგრძლივდება შემწეობის მიღების პერიოდი.

14. უმუშევარს, რომელსაც კმაყოფაზე ჰყავს შვილები და ოჯახის სხვა წევრები, თუ ისინი არსებული კანონმდებლობით არ ღებულობენ რაიმე სხვა სახის დახმარებას, კმაყოფაზე მყოფ თითოეულ წევრზე შემწეობის ოდენობა უდიდდება შემწეობის 25 პროცენტით, მაგრამ არაუმეტეს უკანასკნელ სამუშაო ადგილზე მიღებული საშუალო ხელფასის ოდენობისა;

უმუშევარს, რომელიც გათავისუფლდა სასჯელის აღმასრულებელი ან იძულებით მკურნალობის დაწესებულებიდან და შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულია როგორც სამუშაოს მაძიებელი, მიეცემა უმუშევრობის შემწეობა დადგენილი მინიმალური ხელფასის 75 პროცენტის ოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმუშევართა ამ კატეგორიას შემწეობა ეძლევა სამუშაოზე მოწყობამდე ამ დებულების მე-6 პუნქტის გათვალისწინებით.

15. უმუშევარს, რომელიც განაცხადებს თანხმობას იმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სამუშაო ძალით ნაკლებად უზრუნველყოფილ საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, სტიქიისაგან დაზარალებულ რაიონებში ან ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მისთვის შესაფერის სამუშაოს პირობებს, ეძლევა დამატებითი ერთჯერადი შემწეობა დადგენილი ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო.

16. უმუშევრობის შემწეობა ექვემდებარება ინდექსაციას დადგენილი წესის მიხედვით.

17. მოქალაქეს უფლება აქვს დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მუშაკთა მოქმედება გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1991 წლის 25 ოქტომბრის
№ 812 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. დებულებას დროებითი სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ საფუძვლად უდევს საქართველოს რესპუბლიკის კანონი დასაქმების შესახებ.

2. დროებით სამუშაოებში იგულისხმება ის სამუშაოები, რომლებიც არ ითხოვენ უმუშევარ და დროებით დაუსაქმებელ მოქალაქეთა სპეციალურ პროფესიულ მომზადებას.

3. დასაქმების უზრუნველყოფის საქმეში დროებითი სამუშაოების მეშვეობით წყდება შემდეგი ამოცანები:

— დროებით სამუშაოზე ეწყობიან ის უმუშევრები, რომლებისთვისაც შრომის ბირჟამ ვერ გამონახა მუდმივი სამუშაო ადგილი;

— დროებით სამუშაოს იღებენ ის წინასაპენსიო ასაკის მოქალაქენი, ინვალიდები და სხვანი, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო და არ გააჩნიათ შრომითი შემოსავალი;

— დროებითი სამუშაოთი უზრუნველყოფილი ხდებიან ის დაუსაქმებელი მოქალაქენი, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში არ უმუშავიათ სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორც სამუშაოს მაძიებელნი რეგისტრირებული არიან შრომის ბირჟაზე და არ ენიჭებათ უმუშევრის სტატუსი.

II. დროებითი სამუშაოების ორგანიზაციის პირობები

1. დროებითი სამუშაოების ორგანიზაცია ხორციელდება მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა გადაწყვეტილებით, შრომის სახელმწიფო ბირჟისა და საქველმოქმედო საზოგადოების წინადადებითა და უშუალო მონაწილეობით.

2. შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო პროფესიებზე მოთხოვნილების, მომზადებისა და გადამზადების საკოორდინაციო ცენტრის საშუალებით, პრეფექტურებისა და შრომის სახელმწიფო ბირჟის მონაწილეობით შრომის ბაზრის მდგომარეობის, სამუშაო ძალაზე მოთხოვნილებისა და სამუშაო ადგილების პროგნოზირების ანალიზის საფუძველზე ამუშავებს სპეციალურ პროგრამებს დროებითი სამუშაოების ჩასატარებლად. ამ პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს მოქალაქეთა დასაქმების ღონისძიებები ადგილობრივი პირობების მიხედვით, გამოთავისუფლებულ მუშაკთა რაოდენობა, სამუშაოების ჩატარების სფეროები, მათი რეალიზაციის ფორმები, აგრეთვე ამ სამუშაოთა ჩატარებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური გაანგარიშებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შრომის რეგიონალური ბირჟების წინადადებების შესაბამისად განსაზღვრავენ მეურნეობის დარგებს, კონკრეტულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, დროებით სამუშაოთა ჩატარების საჭირო მოცულობებსა და სახეებს. ამ მხრივ უპირატესობა ენიჭებათ იმ დარგებს, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივი ტერიტორიის სოციალურ განვითარებას (საყოფაცხოვრებო მომსახურება, კეთილმოწყობა, ჯანდაცვა, სოცუზრუნველყოფა, საზკვება, კულტურა, სპორტი და სხვა).

4. რეკომენდებულია შემდეგი სახის დროებით სამუშაოთა ორგანიზაცია: ქალაქის ან რაიონის კეთილმოწყობა, საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლების, ინტერნატების, ბავა-ბაღების, მოხუცებულობისა და ინვალიდების სახლ-ინტერნატების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოთა შესრულება, მოსავლის აღება-დაბინავება, თიბვა, მოხუცთა და ინვალიდთა მოვლა. აუცილებლობის შემთხვევაში მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ გაზარდონ სამუშაოთა ნუსხა; მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელშეკრულებებით დროებით სამუშაოების ჩატარება საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში (მათი საკუთრების ფორმების მიუხედავად).

5. შრომის სახელმწიფო ბირჟის მიერ დაუსაქმებელ მოქალაქეთა გაგზავნა დროებით სამუშაოებზე ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი რეგისტრირებული იქნებიან როგორც სამუშაოს მაძიებლები.

სამუშაოს მაძიებელი მოქალაქის მონაწილეობა დროებით სამუშაოებში დაიშვება მხოლოდ მისი პირადი სურვილისა და შრომის კანონმდებლობის გათვალისწინებით. ამასთან შეთავაზებულ სამუშაოთა სახეები და სფერო მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს მის პროფესიულ ჩვევებსა და მიდრეკილებებს, აგრეთვე შრომის პირობებსა და რეჟიმს.

6. შრომის სახელმწიფო ბირჟა დროებით სამუშაოზე გაგზავნილ დაუსაქმებელ მოქალაქეს აცნობს მუშაობის რეჟიმს, სპეციფიკას და შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების პირობებს.

7. დროებით სამუშაოებზე გაგზავნილ პირებთან იდება ხელშეკრულება ორ თვემდე ვადით, მისი გაგრძელების უფლებით.

შრომის ბირჟის მიერ დაუსაქმებელი მოქალაქისათვის მუდმივი სამუშაო ადგილის გამოძებნის შემთხვევაში (პროფესიის და სპეციალობის მიხედვით) აღნიშნული ხელშეკრულება უქმდება. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე მუშაკის განთავისუფლების შემთხვევაში სავალდებულოა შრომის სახელმწიფო ბირჟას 3 დღის განმავლობაში ეცნობოს ამის შესახებ, და ამასთან მითითებული უნდა იყოს განთავისუფლების მიზეზი.

დროებით სამუშაოზე მომუშავე პირის შრომის წიგნაკში კეთდება ჩანაწერი მუშაობის პერიოდისა და განთავისუფლების თარიღის ჩვენებით.

8. დროებით სამუშაოებზე გაგზავნილი დაუსაქმებელი მოქალაქეებისაგან შეიძლება ჩამოყალიბდეს ნებაყოფლობითი ბრიგადები ცალკეული სამუშაოების ჩასატარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. დროებით სამუშაოებზე მუშაობის დროს მუშაკს ეთვლება საერთო და უწყვეტ სტაჟში და მასზე ვრცელდება ყველა სოციალური გარანტია.

10. დროებით სამუშაოებზე დასაქმებულ პირთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება არსებული შრომის კანონმდებლობით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათი სურვილისამებრ დროის შეჯამებული აღრიცხვა, აგრეთვე მათთვის ხელსაყრელი სამუშაო კვირის და დღის რეჟიმი. დროებით სამუშაოებზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემცირებული ხანგრძლივობის სამუშაო დრო შესაბამისი ანაზღაურებით.

11. შრომის სახელმწიფო ბირჟა ახორციელებს დროებით სამუშაოებზე გაგზავნილი დაუსაქმებელი მოქალაქეების აღრიცხვას დამტკიცებული სტატისტიკური ფორმების მიხედვით.

III. დროებითი სამუშაოების დაფინანსების წესი და წყაროები

1. დროებითი სამუშაოების დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრების გამოყენებით.

ამასთან სამუშაოთა ჩასატარებლად საჭირო ფინანსური სახსრები და მატერიალური რესურსები გათვალისწინებული უნდა იქნეს მოცემული ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებათა შემუშავებისას, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობაში.

2. დროებით სამუშაოებზე დასაქმებულ პირს გარანტირებული აქვს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება შესაბამის დარგებში არსებული ტარიფებისა და განაკვეთების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ მათთვის ბირჟის მიერ გამოყოფილი შემწეობის თანხის პლუს მისი 15 პროცენტისა.

IV. კონტროლი დროებითი სამუშაოების ჩატარების ორგანიზაციისადმი

1. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები კონტროლს უწევენ დროებით სამუშაოთა შესრულებისას საწარმოთა და მოქალაქეთა შორის შრომის ხელშეკრულების, აგრეთვე შრომისა და დასაქმების კანონმდებლობის სხვა ნორმათა შესრულებას.

ამ მხრივ უშუალო კონტროლს ახორციელებს დასაქმების სახელმწიფო ინსპექცია.

2. დასაქმების სახელმწიფო ინსპექციას თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს უფლება შეამოწმოს საწარმოები, აგრეთვე განიხილოს მოქალაქეთა სადავო საკითხები, რომლებიც დროებითი სამუშაოების შესრულებისას წამოიჭრება; მასვე უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში დასვას საკითხი შრომის სახელმწიფო ინსპექციის და სამართალდამცავი ორგანოების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ КАБИНЕТА МИНИСТРОВ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

№ 5, 1991 წელი

გამომცემელი: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VI-92 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 6, სააღრიცხვო თაბახი 6

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 242 ტირაჟი 100

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა